უნივერსიტეტი

15 დეკემბერი, ხუთშაბათი, 2011 წ. №15

გაზეთი ეძღვნება დიმიტრი უზნაძის 125 წლის იუბილეს

ფრაგმენტები დიმიტრი უზნაძისადმი განწოებისთვის

გვ. 5

ფსიქოლოგები უზნაძის ქოლგის ქვეშ

გვ. 4

პიროვნება — უზნაძის თეორიაში და თეორია უზნაძის პიროვნებაზე



ერთნი წერენ — „ის იყო მეცნიერი, რომელიც სიბნელეს ებრძოდა“... სხვანი ამბობენ — „ის იყო მეცნიერი, რომელმაც ახალი მეცნიერება შექმნა“. თავად კი საკუთარი ქვეყნის მამენეგელთა შორის ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა მხოლოდ... ეს იყო მისი საქმიანობის დედაზრი.

დიმიტრი უზნაძე ქართველ მეცნიერთა იმ კოჰორტას განეკუთვნება, რომლის მხრებზე დგომაც ერის მეცნიერულ სიმაღლეს განაპირობებს. იგი იყო ერთერთი პირველი იმ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებმაც საქართველოს დაუტოვეს უნივერსიტეტი, განათლება და მეცნიერება. ნაშრომები, რომელიც დიმიტრი უზნაძემ გასული საუკუნის დასაწყისში შექმნა, ერთნაირი სისრულით მოიცავს ისტორიის, პედაგოგიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის სამეცნიერო სიღრმეებს და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

შრომა საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებისთვის — ეს იყო მისი ცხოვრების ლაიტმოტივი, რასაც „შენებას“ უწოდებდა და ასაბუთებდა, რომ ადამიანის ისტორიული წარსული ამგვარი მუშაობაა — აშენოს ის შენობა, რაც მისთვის წინაპრებს გადაუცია. „დაბადებიდანვე დაყოლილი გვაქვს თან ის დანიშნულება, რომელსაც მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ. ჩვენი მოვალეობა ამ სახით იმთავითვე განსაზღვრულია. გასაკვირი არ არის, იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრება ინსტიქტურად მხოლოდ ისეთ პიროვნებებს თვლის ყურადღებისა და თაყვანისცემის ღირსად, რომელნიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ასეთი შენობის აგებას ახმარენ, ხოლო ისეთნი, რომელთაც ამგვარი შენება სისულელედ და სიგიჟედ მიუჩნევიათ, რა გასაკვირია, რომ ჩვენი მეხსიერებიდან უკვალოდ ქრებიან,“ — წერდა იგი და ამ მცირე ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს მისი აზროვნების ზოგადსაკაცობრიო მასშტაბები.

წელს დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 125 წელი სრულდება.

მე-2 გვერდზე

საბჭოთა იდეოლოგია უზნაძის სკოლის წინააღმდეგ

გვ. 5

პროფესორი იოსებ ბჟალავა:

მეორე სამამულო ომის პერიოდი იყო. ცივი, სუსხიანი ზამთარი მძვინვარებდა. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შენობაში ციოდა. შენობის შესასვლელთან სასკოლო მერხი იდგა. ერთ დღეს სიცივით შეწუხებულმა ბუხჰალტერმა გასცა განკარგულება მერხი დაემტვრიათ და მით ღუმელი დაენთოთ. ასეც მოიქცნენ. მერხი დაიწვა. გავიდა ხანი. ერთ დღეს დიმიტრიმ მერხი მოიკითხა: რომ არ ვხედავ, სად არისო? როცა გაიგო, რაც მერხს გადახდა, საშინლად განრისხდა, იხმო ბუხჰალტერი და ჰკითხა მას. ბუჰხალტერმა დაადასტურა, რომ მან გასცა განკარგულება მერხის დამტვრევისა. დიმიტრიმ იქვე დაწერა ბრძანება ბუხჰალტერის სამსახურიდან განთავისუფლებისა. მისთვის მერხი იყო სასწავლო საგანი, პედაგოგიკასთან დაკავშირებული ელემენტი, სწავლების ნიშანი და ამიტომ მისი განადგურება, უზნაძისნაირი კაცის გაგებით, არ შეიძლებოდა.

გვ. 15

თსუ დიმიტრი უზნაძის 125 წლის იუბილეს აღნიშნავს

15-16 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველი ფსიქოლოგის, ფილოსოფოსის, პედაგოგის, ფსიქოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებლის, უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 125 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით თსუ-ში დიმიტრი უზნაძის 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება. კონფერენცია ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება და მასში თსუ-ის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დიმიტრი უზნაძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები მიიღებენ მონაწილეობას.

„დიმიტრი უზნაძემ უდიდესი როლი ითამაშა ქართული ფსიქოლოგიის განვითარებაში. იგი ცნობილია თავისი „განწყობის თეორიით“, რამაც საფუძველი დაუდო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შექმნას. მისი 125 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე 60-ზე მეტი მოხსენება იქნება წარმოდგენილი.

მე-3 გვერდზე

ხარკოვის უნივერსიტეტის ინიციატივა — ტრადიციად აქციოს „უზნაძის კითხვანი“

დიმიტრი უზნაძე და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა ჯერაც კვლევის საგანია არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოეთის სამეცნიერო საზოგადოებაშიც. მის ნაშრომებში განხილულ საკითხებს სხვადასხვა კუთხით აანალიზებენ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, რადგანაც განწყობის ფსიქოლოგია, როგორც ექსპერიმენტული მეცნიერება, დღესაც ვითარდება.

სწორედ ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 9-10 დეკემბერს უკრაინაში, ე.წ. კარაზინის სახელობის ხარკოვის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 125 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციის თემა იყო „დ. უზნაძის მეცნიერული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა.“

მე-3 გვერდზე

ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა-განი — გვ. 3

რატომ „გადაირჩია“ დიმიტრი უზნაძემ ფილოსოფია — გვ. 11

ქართული პედაგოგიკის ერთერთი შემოქმედი — გვ. 12

მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორი — გვ. 12

სახლ-მუზეუმის გახსნის იდეა ჯერაც იდეად რჩება — გვ. 13

ქრონიკა

1886 წლის 20 დეკემბერი — ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში დაიბადა დიმიტრი უზნაძე.

1896 წელს — შეიყვანეს ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში.

1905 წელს — ჩაირიცხა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

1907 წელს — დ. უზნაძე წერს თავის პირველ სამეცნიერო შრომას. იგი ლაიბნიცს მიეძღვნა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ პრემიით დაჯილდოვდა.

1909 წელს — უზნაძე ქმნის სერიოზულ ნაშრომს ვლ.სოლოვიოვის ფილოსოფიურ მემკვიდერეობაზე, რომელშიც დოქტორის ხარისხს ანიჭებენ.

1909 წელს — ბრუნდება საქართველოში.

1910 წელს — შედის ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ისტორიულ განყოფილებაზე.

1913 წელს — ხარკოვის უნივერსიტეტი დ. უზნაძეს პირველი ხარისხის დიპლომს ანიჭებს.

1910-1916 წწ. — დ. უზნაძე აქვეყნებს წერილების სერიას თეორიულ პედაგოგიკაში.

1912 წელს — გამოსცა წიგნი „შესავალი ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში“, რომელმაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო საქართველოში ორ ახალ დისციპლინას — ექსპერიმენტულ პედაგოგიკას და ბავშვის ფსიქოლოგიას.

1909 წელს — დ. უზნაძე ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრად აირჩიეს.

1913 წელს — დ. უზნაძე სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრების დელეგატია პეტერბურგში.

1910-1915 წწ. — დ. უზნაძემ საძირკველი ჩაუყარა საქართველოში ექსპერიმენტულ პედაგოგიკას, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს.

1910 წელს — გამოქვეყნდა დ. უზნაძის პირველი ნაშრომი პედაგოგიკაში: „აღზრდის მიზნები“.

1915-1917 წწ. — დ. უზნაძე დაინიშნა „სინათლის“ სკოლის დირექტორად.

1917 წელს — დ. უზნაძე სამუშაოდ თბილისში გადადის.

1917 წლის 12 მაისს — დ. უზნაძე ივანე ჯავახიშვილის მოწვევით შეკრებილ უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი დამფუძნებელი კრების წევრია.

1918 წელს — დ. უზნაძემ საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიის ლაბორატორიას.

1918 წელს — დ. უზნაძემ სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნა ფსიქოლოგიის კათედრა.

1918-1950 წწ. — დაინიშნა ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1921—1923 წწ. — დ. უზნაძე დაინიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მდივნად.

1923-1925 წწ. დაინიშნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის დეკანად.

1927 წელს — დაარსა და ბოლომდე ხელმძღვანელობდა საფსიქოლოგიო საზოგადოებას საქართველოში.

1927-1929 წწ. — დაინიშნა თბილისის საქალაქო საბჭოს ფსიქოტექნიკური ლაბორატორიის გამგედ.

1931 წელს — საქართველოს განათლების კომისარიატთან არსებულმა საკვალიფიკაციო კომისიამ დ. უზნაძეს პროფესორის წოდება დაუმტკიცა.

1935 წელს — საქართველოს განათლების კომისარიატთან არსებულმა საკავშირო კომისიამ დ. უზნაძეს პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

1941 წელს — შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის ერთერთი დამფუძნებელი დ. უზნაძეც იყო.

1941-1942 წწ. — დ. უზნაძე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ.

1943-1950 წწ. — ასრულებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას.

1941-1950 წწ. — დ. უზნაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრეზიდიუმის წევრია.

1941 წელს — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დ. უზნაძე დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1944 წელს — დაინიშნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ფსიქოლოგიური განყოფილების გამგედ.

1950 წლის 12 ოქტომბერს — დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა.

პიროვნება — უზნაძის თეორიაში და თეორია უზნაძის პიროვნებაზე

პირველი გვერდიდან

მისი არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლის წლებიდან, რომელთაგან მხოლოდ პირველ სამ წელს თუ გამოარჩევ, როცა საქვეყნო და ადამიანურ ღირებულებებზე არ უფიქრია, დარჩა უმდიდრესი საგანძური, რომელსაც მეცნიერები დღესაც აანალიზებენ. მისი „განწყობის ფსიქოლოგიის“ ფენომენის ახსნას მომავალი თაობაც ისეთივე ინტერესით შეეცდება, როგორითაც თავად უზნაძის მოწაფენი ცდილობდნენ.

დედა ენა 3 წლის ასაკიდან

დიმიტრი უზნაძე დაიბადა 1886 წელს ზესტაფონში, სოფელ ზედა საქარაში. ოჯახი მრავალშვილიანი იყო. მის დედ-მამას — ნიკო უზნაძეს და ანა ჭუმბურიძეს 6 შვილი ჰყავდათ. დიმიტრის მამა გამრჯე და მშრომელი კაცი იყო — დღენიადაგ მუშაობდა და შვილებსაც შრომის სიყვარულს აჩვევდა. თავად წიგნის მოყვარულს, სწავლის მნიშვნელობა შეგნებული ჰქონდა და შვილების განათლებაც მისთვის უპირველესი საზრუნავი ყოფილა. როგორც ჩანს, ნიკოს დიდმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო — მისმა ოთხივე ვაჟმა უმაღლესი განათლება მიიღო, მათ შორის ორმა — საზღვარგარეთ.

ოჯახში განსაკუთრებულად აქცევდნენ ყურადღებას პატარა დიმიტრის განათლებას, რადგანაც მან ძალიან მცირე ასაკში გამოავლინა ნიჭიერება. იგი თავისი ქცევით, ხასიათით, ჭკუით, ინტერესთა სფეროებით განვითარების ჩვეულებრივ ნორმას აჭარბებდა. 3 წლის ასაკში ხელიდან არ იშორებდა დედა ენას, ხოლო 4 წლის ასაკში უკვე თავისუფლად კითხულობდა.

დიმიტრი უზნაძის წიგნებისადმი დამოკიდებულების შესახებ ბიოგრაფები იხსენებენ: „ერთხელ ნიკოს ეწვია ნათესავი, რომელსაც დიტოს თანატოლი 4 წლის ბავშვი ახლდა. დიტომ ძალიან გაიხარა, მაშინვე დაამყარა ბავშვთან კონტაქტი, გამოუტანა სათამაშოები, წიგნები, რვეულები, უჩვენებდა სურათებს, უამბობდა... სტუმარმა ბიჭუნამ ერთხანს უსმინა, შემდეგ დაიწყო სათამაშოების ფანჯრიდან გადაყრა. როცა ბავშვმა წიგნს დაავლო ხელი, დიტო გაუჯავრდა, წიგნების გადაყრა არ შეიძლებაო... დედის შენიშვნაზე — სტუმართან ჩხუბი ვის გაუგიაო, პატარა დიტომ უპასუხა: „მე ასეთი სულელი სტუმარი არ მინდაო“... აკრიფა წიგნები, დაჯდა ხის ძირში და მთელი დღე თურმე იმ ბავშვს არ გაკარებია“...

1896 წელს დიმიტრი ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის უფროს მოსამზადებელ კლასში შეიყვანეს, სადაც ასევე ბეჯითი და შრომისმოყვარე მოსწავლის სახელი დაიმსახურა, რადგან სწავლითაც კარგად სწავლობდა და სხვა ტიპის ლიტერატურასაც ინტერესით ეცნობოდა.

ძირითადი მიდრეკილება, რომელიც პატარა დიმიტრი უზნაძემ თავიდანვე გამოამჟღავნა, მასწავლებლობა იყო. თურმე პირველად სიტყვა „ირემი“ ამოიკითხა და მაშინვე გაიქცა თავის თანატოლთან, რომ რაც ისწავლა, მისთვისაც ეჩვენებინა. როგორც იხსენებენ, იქვე პირობა მიუცია მეზობლის ბიჭისთვის — რასაც მე ვისწავლი, შენც გასწავლიო... ასეც გაუგრძელებია და მთელი სოფლის ახალგაზრდებისთვის წერა-კითხვა მას უსწავლებია.

ნაადრევი ბავშვობის შემდეგ ყურადღებას იქცევს დიმიტრი უზნაძის ქცევის მეთოდური ხასიათი: ის წერდა ან კითხულობდა არა შემთხვევით, არამედ მიზანდასახულად, სისტემატურად. 14 წლისა უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება იყო — თავისუფლად მსჯელობდა ერის ბედ-იღბალზე, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ასწავლიდა სოფლელ თანატოლებს.



დიმიტრი უზნაძე გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდანვე ჩაება არალეგალურ პოლიტიკურ მოძრაობაში, რამაც მამის შემფოთება გამოიწვია და არც თუ უსაფუძვლოდ — 1905 წლის 1 მარტს მოწაფეთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის იგი მერვე კლასიდან გარიცხეს. იმავე წლის შემოდგომაზე, მამის მონდომებით, იგი სასწავლებლად ლაიფციგში გაემგზავრა.

ვუნდტის მემკვიდრე

ლაიფციგის უნივერსიტეტში დიმიტრი უზნაძე შევიდა ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც მას ცნობილი მეცნიერი, ფსიქოლოგიის „მამამთავარი“ ვილჰელმ ვუნდტი ასწავლიდა.

ამ პერიოდისთვის ვუნდტის მიერ დაარსებული მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიის ლაბორატორია მესამე ათეულ წელს ითვლიდა, ანუ, იწყებოდა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარების ახალი გზა, რომლის სათავესთან დიმიტრი უზნაძეც დადგა.

უნივერსიტეტში დაემოწაფა იგი მეცნიერებას — ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას. გარდა ვუნდტისა, იგი უსმენდა მსოფლიოში ცნობილ ფსიქოლოგს ფოლკელტს და ფსიქოლოგსა და სოციოლოგს — ბარტს. უნივერსიტეტში ორი წლის სწავლის შემდეგ მან დაწერა ნაშრომი — „Das Notwendigkeitsproplem beim Leibniz”, რომელიც სამეცნიერო საბჭომ, რომლის წევრი თავად ვუნდტი იყო, პრემიით დააჯილდოვა.

ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე გერონტი ქიქოძე, რომელიც მაშინ ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლობდა, წერს: „დიტო ლაიფციგში თავისებურ ცხოვრებას ეწეოდა. ის მთლიანად საუნივერსიტეტო ცხოვრებაში იყო ჩაფლული, ბოჰემურ ცხოვრებას არ მისდევდა. ის ყველას თავს არიდებდა და წიგნებისკენ მიეშურებოდა.“

1907 წელს დიმიტრი უზნაძე საქართველოში ჩამოვიდა და ქუთაისის გიმნაზიაში სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ჩააბარა. 1909 წელს კი დაასრულა და დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ვლ. სოლოვიოვს და მისი ფილოსოფიის განხილვას მიეძღვნა. რადგანაც ლაიფციგში სოლოვიოვის ფილოსოფიას არ იცნობდნენ, ამიტომ დაცვა ჰალეს უნივერსიტეტში დაინიშნა და დიმიტრი უზნაძეს ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა.

სხვათა შორის, ამ ნაშრომის შესახებ ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა რეცენზია, რომელსაც ხელს აწერდა გერონტი ქიქოძე. იგი წერს: „ავტორისთვის დამახასიათებელია არა მარტო ფართო ფილოსოფიური ცოდნა, განსაკუთრებით გერმანელი კლასიკებისა (უწინარეს ყოვლისა, კანტისა და შელინგის), არამედ ნათელი და სისტემატური აზროვნება, მოხდენილი და დალაგებული წერის ნიჭი და მშვენიერი გერმანული სტილი... ის მეცნიერული კეთილსინდისიერება კი (ამ მხრივ ბატონი უზნაძე ნამდვილი მონაფეა გერმანელი მეცნიერებისა), რომელიც ამ წიგნის ყოველი სტრიქონიდან გამოსჭვივის, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი და მცოდნე თანამემამულე შესძლებს სარგებლობა მოუტანოს თავის სამშობლოს.“

1909 წელს დიმიტრი უზნაძე სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წლის 29 აგვისტოს ქუთაისის გაზეთმა „დროებამ“ დაბეჭდა ცნობა, რომ „ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ, ნაცვლად ისტორიის მასწავლებლის პ. იოსელიანისა, რომელიც ტფილისის ქართულ გიმნაზიაში გადავიდა, ისტორიის მასწავლებლად მოიწვია ფილოსოფიის დოქტორი დ. უზნაძე.“

ამ დროიდან ჩაება დიმიტრი უზნაძე პედაგოგიურ საქმიანობაში, თუმცა, როგორც ჩანს, საზღვარგარეთ მიღებული დიპლომი და სამეცნიერო წოდება იმ დროს არ აძლევდა მას ამის საშუალებას, ამიტომაც დიმიტრი უზნაძემ 1910 წელს ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ისტორიულ განყოფილებაზე, რომელიც 1913 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. არსებობს ცნობა, რომ დიპლომის წარდგენის შემდეგ დიმიტრი უზნაძე ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ლეიკფელდმა დაიბარა და უნივერსიტეტში დარჩენა შესთავაზა, მაგრამ უზნაძემ ამაზე უარი განაცხადა, რადგანაც მისი მიზანი საქართველოში სახალხო განათლებისა და სკოლის აღორძინება იყო.

სინათლე

დიმიტრი უზნაძის პირველი საზოგადოებრივი გამოსვლა 1909 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი მიძღვნილ დისკუსიას დაუკავშირდა. ამ თემაზე მაშინ რამდენიმე საკითხი იდგა დღის წესრიგში: სად უნდა ვეძებოთ მარადისობისკენ ბარათაშვილის ლტოლვის სათავე? იმყოფებოდა თუ არა ლოგიკურ კავშირში ცხოვრების ამაოების განცდა კონკრეტულ სიტუაციასთან? რა ღირებულებების მქონეა ემპირიული საზომი მარადისობის ძიებაში? დასაშვებია თუ არა ცხოვრების საკითხების მეტაფიზიკური განხილვა და სხვ.

მე-15 გვერდზე

ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი

უკან სხედან ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და დიმიტრი უზნაძე

1917 წლის 12 მაისს ივანე ჯავახიშვილის მოწვევით შეკრებილი უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი დამფუძნებელი კრების 28 წევრიდან ერთერთი დიმიტრი უზნაძე იყო. ამ კრებაზე გადაწყდა დაარსებულიყო „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი ყოველი სათანადო ფაკულტეტებით“. უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით სამზადისი შეუნელებლად წარმოებდა: არკვევდნენ უნივერსიტეტის პროფილს, ძალებს, წესებს... დიმიტრი უზნაძე პროცესებში აქტიურად იყო ჩართული და მას ყველა საქმეში „წილი ედო“. უნივერსიტეტი ჯერაც არ იყო გახსნილი, მაგრამ პროფესორთა საბჭო უკვე მუშაობდა. პირველი სხდომის ოქმში განხილულია: „რა ტიპის უნდა იყოს ჩვენი უნივერსიტეტი? როგორც რუსეთშია თუ სხვაგვარი?” აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კი გადაწყდა, რომ უცხოეთის ბევრი უნივერსიტეტის მსგავსად, პირველ ქართულ უნივერსიტეტში დაარსებულიყო ერთი სიბრძნისმეტყველების, ანუ საფილოსოფოსო ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: ჰუმანურ მეცნიერებათა, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. მხოლოდ იმთავითვე უნდა გახსნილიყო ჰუმანურ მეცნიერებათა განყოფილება. ამ დარგზე საგნების წასაკითხად დასახელებული იყვნენ პროფესორები, მეცნიერ-ხელმძღვანელები, ლექტორები, მათ შორის, პროფესორი დიმიტრი უზნაძე.

„ქართული უნივერსიტეტის სხდომის დღიურში“ საუბარია, ასევე, მომავალი სასწავლო გეგმის შედგენაზე, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული დიმიტრი უზნაძე.

უნივერსიტეტის გახსნის მეორე დღეს, ფაკულტეტის სხდომაზე განიხილეს ლექციების განაწილების საკითხი და გამოიტანეს ასეთი დადგენილება: „საკითხი საბოლოოდ მიენდო დ. უზნაძეს და ი. ყიფშიძეს“ — ასეთია ქართული უნივერსიტეტის „ამოძრავებისთვის“ გადადგმული პირველი ნაბიჯები.

უნივერსიტეტის დაარსების დღიდან დიმიტრი უზნაძე მხარში ამოუდგა ივანე ჯავახიშვილს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. 1917-1918 წლებში იგი იყო თბილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. 1918 წელს მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში შეიქმნა ფსიქოლოგიის კათედრა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ლაბორატორია, რომლის გამგე იყო გარდაცვალებამდე (1950 წ). 1935 წელს მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ 1938 წელს უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დიმიტრი უზნაძე, როგორც უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებელთაგანი, მეცნიერული დამსახურებისათვის „საპატიო სიგელით“ დააჯილდოვეს.

თსუ დიმიტრი უზნაძის 125 წლის იუბილეს აღნიშნავს

პირველი გვერდიდან

მოხსენებათა დიდი ნაწილი ფსიქოლოგიურ თემაზეა დაწერილი, თუმცა მომხსენებლები წაიკითხავენ ნაშრომებს პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და სოციალური გეოგრაფიის საკითხებზეც. ჩვენ უკვე ტრადიციად დავამკვიდრეთ, რომ დიდ მეცნიერთა იუბილეებს მივუძღვნათ სამეცნიერო კონფერენციები და გამოვცეთ კრებულები, რომელშიც შესული იქნება კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები. დიმიტრი უზნაძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებიც კრებულის სახით გამოიცემა,“ — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, კონფერენციის ერთერთმა ორგანიზატორმა ამირან ბერძენიშვილმა.

დიმიტრი უზნაძის 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გახსნამდე თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები უნივერსიტეტის პანთეონში დიდი მეცნიერის საფლავს ყვავილებით შეამკობენ. იუბილეზე დასასწრებად დიმიტრი უზნაძის შთამომავლებიც არიან მოწვეულნი.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

კონფერენცია ხარკოვის უნივერსიტეტში

ხარკოვის უნივერსიტეტის ინიციატივა — ტრადიციად აქციოს „უზნაძის კითხვანი”

პირველი გვერდიდან

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ნოდარ ბელქანია და ვახტანგ ნადარეიშვილი, ასევე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები ანა კობერიძე, ზანდა ჩეჩელაშვილი და მელანია ჩარგაზია.

კონფერენცია თემატურად და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით მასშტაბური იყო. ორმოცდაათამდე გამომსვლელი და სამეცნიერო თემები, რომელთაგან უმრავლესობა დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხს მოიცავდა, ადასტურებს ქართული ფსიქოლოგიის სკოლის სიძლიერეს, რომელსაც გასული საუკუნის დასაწყისში საფუძველი სწორედ დიმიტრი უზნაძემ ჩაუყარა.

ხარკოვის უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე დიმიტრი უზნაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ, რომელმაც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ უკრაინელ მეცნიერთა და სტუდენტთა ამგვარი ინტერესი უზნაძის თეორიისა და, ზოგადად, ქართული ფსიქოლოგიის სკოლის მიმართ მისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

„დიმიტრი უზნაძის მნიშვნელობა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში განუზომელია და ჩემს მოხსენებაში მე შევეცადე მეჩვენებინა ეს სიდიდე. მათთვის სიახლე იყო, რომ უზნაძეს ბევრი საინტერესო ნაშრომი აქვს გამოცემული ისტორიასა (მას შესწავლილი ჰქონდა, მაგალითად, ძველი მსოფლიოს ისტორია, ბაბილონის ისტორია და სხვ.) და პედაგოგიკაში. სხვათა შორის, კონფერენციაზე წაიკითხეს მისი ციტატები, რომელიც პედაგოგიკას შეეხებოდა. დარბაზი გაოცებას ვერ მალავდა, იმდენად თანამედროვედ გამოიყურებოდა მისი მიგნებები... ცნობილია, რომ დიმიტრი უზნაძე სკოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და წერდა, რომ აღზრდის სისტემა არ შეიძლება სტანდარტული იყოს, რადგან სკოლამ ინდივიდი უნდა აღზარდოსო.

უნდა ვთქვა ისიც, რომ უამრავ საინტერესო მოხსენებას შორის, რომელიც კონფერენციაზე წაიკითხეს, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პროფესორ ალექსეი დუსავიცკის მოხსენებამ „საქართველო ჩემი სიყვარული“, რომელშიც დაწვრილებით იყო განხილული უზნაძის პედაგოგიური შეხედულებები და მემკვიდრეობა,“ — აღნიშნა ნოდარ ბელქანიამ.

მისი თქმით, კონფერენციას გარკვეული მუხტი შემატა პროფესორ ვახტანგ ნადარეიშვილის მოხსენებამ — „განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“, რომლის გარშემოც დარბაზში საინტერესო დისკუსია გაიმართა.

კონფერენციაზე, ასევე, გამოვიდა ხარკოვის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ნადეჟდა კრეიდუნი, რომელმაც ქართველ კოლეგებს მომავალში სამეცნიერო თანამშრომლობა შესთავაზა.

გამოიკვეთა, რომ დიმიტრი უზნაძის ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი კარგად არ არის შესწავლილი, თუმცა ვარაუდები გამოითქვა, რომ უზნაძის მიერ ხარკოვის უნივერსიტეტზე არჩევანის შეჩერება შესაძლებელია გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთის იმპერიისდროინდელი საქართველო შედიოდა ბესარაბიის და ხარკოვის სასწავლო ოლქში, რაც შესაძლოა აადვილებდა ქართველთათვის სწავლის ხარკოვში გაგრძელებას.

ასევე დაისვა კითხვები — რა კრიტერიუმით შესთავაზა პროფესორმა ლეიკფელდმა დიმიტრი უზნაძეს ხარკოვის უნივერსიტეტში დარჩენა მაშინ, როცა უზნაძემ ისტორიის ფაკულტეტი დაასრულა, ლეიკფელდი კი ფსიქოლოგი იყო? (ინფორმაცია ეყრდნობა ნ. ბერულავას წიგნში — „დიმიტრი უზნაძე“ — მოყვანილ ციტატას, რომელიც, თავის მხრივ, ხარკოვის უნივერსიტეტის ერთერთი მაშინდელი სტუდენტის მოგონებებიდან არის ამოღებული).

ამ და სხვა კითხვებზე პასუხები ჯერ კიდევ კვლევის საგანია და ნოდარ ბელქანიას თქმით, ქართველი და უკრაინელი მეცნიერები ერთობლივად შეეცდებიან დიმიტრი უზნაძის ბიოგრაფიის ამ მონაკეთის სრულყოფას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ სტუდენტთა მონაწილეობა ამ კონფერენციაში. მათ მიერ წარდგენილი თემები: „განწყობის ჩამოყალიბება ცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე“ (ზანდა ჩეჩელაშვილი), „სიტყვა, როგორც განწყობის ობიექტური ფაქტორი“ (მელანია ჩარგაზია) და „განწყობა პათოლოგიურ შემთხვევებში“ (ანა კობერიძე) გამოირჩეოდა საკითხის ღრმა წვდომით და მეცნიერული სიზუსტით.

„კონფერენცია მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ორგანიზატორებმა წარმოადგინეს დიმიტრი უზნაძის წიგნების გამოფენა, რომელიც, შეიძლება ითქვას, შესაშური სიმდიდრით გამოირჩეოდა. ვიზიტის ფარგლებში ჩვენ შევხვდით უნივერსიტეტის პრორექტორს და ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს, რომლებმაც არაჩვეულებრივი მიღება და კონცერტი გაგვიმართეს,“ — განაცხადა ნოდარ ბელქანიამ.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გამართულმა ამ სამეცნიერო კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ განწყობის ფსიქოლოგია დღესაც ცოცხალი და განვითარებადია, ხოლო ხარკოვის უნივერსიტეტის ინიციატივა — ტრადიციად აქციოს „უზნაძის კითხვანი“, ნიშანია იმისა, რომ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის მეცნიერული მემკვიდრეობა კიდევ ბევრჯერ გახდება მსჯელობის და განხილვის საგანი.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

ფსიქოლოგები უზნაძის ქოლგის ქვეშ

დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა იმდენად მდიდარია, რომ მას მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების ფუძემდებლად მოიხსენიებენ. მისი განწყობის ფსიქოლოგია — ცოცხალი, განვითარებადი და მუდმივად ინტერესის გამომწვევი სამეცნიერო მიმართულებაა, რომელმაც დროს გაუძლო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებიც ამას მიუთითებენ — დიმიტრი უზნაძე და მისი მემკვიდრობა უმდიდრესი საგანძურია მეცნიერებისათვის.

უზნაძე — განწყობის ფსიქოლოგია

დიმიტრი ნადირაშვილი

დიმიტრი ნადირაშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— არიან მეცნიერები, რომელთაც შეუძლიათ სათანადოდ დაამუშაონ უკვე აღმოჩენილი კონკრეტული სამეცნიერო თემა და არიან ისეთი გამონაკლისებიც, რომელთაც კლდის მონგრევა და სამყაროში ახალი სინამდვილის აღმოჩენა ძალუძთ. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება დიმიტრი უზნაძე, რადგანაც იგი მეცნიერებაში ახალი მიმართულების შემქმნელი გახლავთ.

ფსიქოლოგიური მეცნიერება ქართულ რეალობაში დიმიტრი უზნაძის შემოტანილია (მხედველებაში მაქვს ფსიქოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბება, რადგანაც არამეცნიერულ ფსიქოლოგიას დიდი ტრადიციები გააჩნია).

ფსიქოლოგია მეცნიერებად მოიხსენება მას შემდეგ, რაც ლაიფციგში ვილჰელმ ვუნდტმა შექმნა ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, სადაც ექსპერიმენტული მუშაობა მიმდინარეობდა. ამ ლაბორატორიის დაარსებით ფსიქოლოგიის განვითარებას მეცნიერული ბაზისი მიეცა. სწორედ ამ კლასიკოს მეცნიერთან მოხვდა ლაიფციგში დიმიტრი უზნაძე, რომელსაც ვუნდტის ინერცია გამოჰყვა და ამან, თავის მხრივ, დიდი ცვლილებები მოახდინა ქართულ რეალობაში.

რაც შეეხება მის წვლილს ქართულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, უზნაძემდე ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერება, ფაქტობრივად, არ არსებობდა. პირველი წიგნები სწორედ ბატონმა დიმიტრიმ გამოსცა. მან შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ ენაში მრავალი ფსიქოლოგიური ტერმინი. ის კი არადა, სიტყვა „განწყობა“ დიმიტრი უზნაძის შემოტანილი, მოგონილი სიტყვაა. ის ჰგავს სიტყვა „განწყობილებას“, რომელიც ემოციას გამოხატავს, „განწყობა“ კი ემოცია არ გახლავთ, ის გაცილებით უფრო მსხვილი კონსტრუქტია — ფსიქიკური და ფიზიკური მზაობა, მომართვა ადამიანისა გარკვეული ქცევისათვის.

დიმიტრი უზნაძემ აღზარდა საქართველოში პირველი ფსიქლოგიური კადრები. მისი პირველი სტუდენტები გახდნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სახელები ჩაწერეს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ისტორიაში.

ცალკე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ მან შექმნა ისეთი სკოლა, როგორიც მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია. დღესაც კი იშვიათია სკოლები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ყოველმხრივ და გლობალურად ახსნან მოვლენები, ადამიანის ფსიქოლოგიური ქცევა, მისი შინაარსი და რაობა... უზნაძის დამსახურებაა, რომ მან ისეთი ფუნდამენტური მიმართულებების გვერდით, როგორიცაა ბიჰევიორიზმი, ფსიქოანალიზი, გეშტალტფსიქოლოგია და სხვა, დააყენა განწყობის ფსიქოლოგია.

ეპოქა, რომელშიც დიმიტრი უზნაძეს სხვა დიდ მეცნიერებთან ერთად უხდებოდა მოღვაწეობა, მოითხოვდა სიმამაცეს, თავდადებას და დიპლომატიის უნარს, რათა ადამიანს დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. ეს იყო საბჭოთა რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი რეპრესიების წლები, რომელსაც ბევრი დიდი მოაზროვნე ემსხვერპლა. არც დიმიტრი უზნაძე ყოფილა გამონაკლისი. მასაც ებრძოდნენ და აკრიტიკებდნენ, მაგრამ ის ახერხებდა, ერთ მხრივ, არ ეღალატა მეცნიერებისთვის, და მეორე მხრივ, გვერდით დაეყენებინა პროფესიონალები, რომლებთან ერთადაც საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა გაუადვილდებოდა. მისმა სკოლამ აღზარდა შემდგომში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები: იოსებ ბუალავა, შოთა ნადირაშვილი, ქეთო მდივანი, რევაზ ნათაძე, ვლადიმერ ნორაკიძე — მთელი კოჰორტა მეცნიერებისა, რომლებთან პოლემიკაში ჩართვაც საბჭოთა ნომენკლატურას და იდეოლოგებს ძალიან უჭირდათ.

ცნობილია, რომ ერთი-ორჯერ მოსკოვიდან სპეციალური კომისიაც კი ჩამოვიდა, რათა ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, როგორც არასაიმედო, არაფიზიოლოგიური ორიენტაციისა და ფსიქიკის კანონზომიერებების შემსწავლელი მეცნიერული მიმდინარეობა, დაეხურათ. მათ არ ხელეწიფებოდათ სიღრმისეულად გაეგოთ ფსიქოლოგიისა და განწყობის თეორიის არსი, ამიტომ მათი კრიტიკა მხოლოდ პრიმიტიული და პროლეტარული განცხადებებით შემოიფარგლებოდა. უზნაძეს კი გვერდით ედგნენ ადამიანები, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ღრმა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სამეცნიერო ცოდნით. მათთან პოლემიკა ძნელი იყო. ამიტომაც სკოლის დახურვა ვერ მოახერხეს.

დიმიტრი უზნაძის ბოლო დოქტორანტი გახლდათ აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი, რომელიც იხსენებდა, რომ ბატონი დიმიტრი გაწონასწორებული, კლასიკური აზროვნების მქონე მეცნიერი, სტუდენტებშიც ასეთივე აზროვნების ადამიანებს ეძებდა. „ერთხელაც გამოცდაზე საკმაოდ მწვავე პოლემიკაში შევედი უზნაძესთან განწყობის თეორიასთან დაკავშირებით და ჩემი შეხედულებები შევთავაზე. გულმა რეჩხი მიყო, რომ ამხელა მეცნიერს ვაკრიტიკებდი, მაგრამ მისი სიდიადეც ის იყო, რომ კი არ განაწყენდა, პირიქით, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ტრადიციულ ოთხშაბათობაზე დამპატიჟა. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო,“ — ასე იხსენებდა ბატონი შოთა უზნაძეს, რომელიც შემდგომ მისი სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი გახდა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო განწყობის ფსიქოლოგია, როგორც ძირითადი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც უზნაძის სახელს უკავშირდება. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის გარკვეული ქცევის უკან არის მზაობა, მომართვა, განწყობა, რომელიც მას ამ ქცევას ასრულებინებს.

უზნაძემ განწყობის შესწავლა ექსპერიმენტზე ორიენტირებული კვლევებით მოახერხა. განწყობის ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერებაა და ამიტომ მუდმივად განახლებადია, განსხვავებით თეორიული მეცნიერებებისაგან, რომლებიც ამას მოკლებულნი არიან. განწყობის თეორია უზნაძის მოსწავლეებმა კიდევ უფრო განავითარეს. მაგალითად, შოთა ნადირაშვილმა განავითარა სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური განწყობა, რაც ადამიანებს შორის მიმართებებს განსაზღვრავს. უზნაძე უფრო მარტივ განწყობებს უტრიალებდა, რადგანაც სოციალურ განწყობებზე საუბარი იმ პერიოდში ტაბუდადებული, აკრძალული იყო. ეს უფრო 60-იან წლებში გახდა შესაძლებელი და უზნაძის მოსწავლეებმაც საფუძველი ჩაუყარეს სოციალურ ფსიქოლოგიას და სოციალური განწყობების მეცნიერულ კვლევას.

დღეს ეს მიმართულება მეტ პოპულარიზაციას მოითხოვს, მით უფრო, რომ დასავლეთის სამეცნიერო საზოგადოებაც დაინტერესებულია განწყობის ფსიქოლოგიით, რომელიც მოიცავს სენსომოტორულ და სოციალურ განწყობას.

განწყობის ფსიქოლოგიით შესაძლებელია აიხსნას ადამიანის ყველა აქტივობა სოციალურ გარემოში. მაგალითად, გავლენის ფსიქოლოგიის კვლევისას მე თითქმის ყველა ადამიანური გავლენა განწყობის ფსიქოლოგიის კანონზომიერებებით ავხსენი. ამის საშუალებას არც ფსიქოანალიზი იძლევა და არც ბიჰევიორიზმი. განწყობის ფსიქოლოგია კი იმდენად ძლიერია თავისი თეორიულ-ექსპერიმენტული მასშტაბით, რომ ნებისმიერი გავლენის ახსნა გახადა შესაძლებელი.

ჩემი აზრით, ამ თეორიას მსოფლიოში შესაფერისი სიდიადითა და მნიშვნელობით მაინც არ იცნობენ. ამიტომაც მისი პოპულარიზაცია აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ამ ეტაპზე, აღარ ფუნქციონირებს, თითოეულმა თანამშრომელმა თავის საქმედ უნდა გაიხადოს დიმიტრი უზნაძის ამ მნიშვნელოვანი მონაპოვარის გაცნობა ევროპისა და ამერიკისთვის.

დიმიტრი უზნაძე და სოციალური ფსიქოლოგია

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მთავარი პოსტულატებით ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულება იკვებება. მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომებში მსოფლმხედველობის ასპექტში შეიმუშავა განწყობის ფილოსოფიური საფუძვლები. სისრულეს და მეცნიერულ დაზუსტებას კი მან ექსპერიმენტების ნიადაგზე მიაღწია.

ნადეჟდა ბერულავა წიგნში „დიმიტრი უზნაძე“ წერს, რომ მან „ფსიქოლოგიის საგანი — ფსიქიკური მოვლენები — პიროვნულ ასპექტში განიხილა. თავისი ფსიქოლოგიური კონცეფციის ძირითადი იდეა — მთლიანპიროვნული მდგომარეობის მაორგანიზებელი მნიშვნელობა, მან ექსპერიმენტულად დაასაბუთა, რითაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებას ახალი გაგება და ახალი პოზიცია შეუქმნა, ფსიქოლოგიური კვლევა კი ახალი მიმართულებით წაიყვანა“.

დიმიტრი უზნაძის ნაშრომები კვლევის მასშტაბით იმდენად უსწრებს მეცნიერულ დროს, რომ გაცილებით გვიან ჩამოყალიბებულ მიმართულებაში — სოციალურ ფსიქოლოგიაში მოღვაწე მეცნიერები დღესაც ბევრ თეზისს იყენებენ და აცხადებენ, რომ უზნაძის თეორია საფუძვლად უდევს მათ მიერ ჩამოყალიბებულ მეცნიერულ დასკვნებს.

გუგული მაღრაძე

გუგული მაღრაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— დიმიტრი უზნაძემ დროს გაუსწრო და გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა სოციალური ფსიქოლოგია ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში იყო, თავის ნაშრომში გამოთქვა მოსაზრებები, რომლებიც შემდგომ საქართველოში ბევრ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევას დაედო საფუძვლად. რაც შეეხება დასავლეთს, თუ გავეცნობით იქ გამოქვეყნებულ ნაშრომებს, ვნახავთ, რომ ბევრი რამ სინქრონშია იმ მოსაზრებებთან, რომელიც თავის დროზე დიმიტრი უზნაძემ გამოთქვა.

მაგალითად, როცა ის თავის ნაშრომში ლაპარაკობს მეორე დონის განწყობაზე, ანუ განწყობაზე, რომელიც უკვე ცნობიერებასთან და ობიექტივაციასთან არის დაკავშირებული, იქმნება შესაძლებლობა, რომ დღევანდელი სოციალური განწყობა სრულად მოერგოს იმ კონცეპტუალურ სქემას, რაც დიმიტრი უზნაძეს თავის „განწყობის ფსიქოლოგიაში“ აქვს მოცემული.

მას კონკრეტულად სოციალურ ფსიქოლოგიაში ცალკე ნაშრომი არ შეუქმნია, რისი მიზეზიც, ჩემი აზრით, მხოლოდ დროის ფაქტორია — განწყობის ფსიქოლოგიის კვლევამ ფსიქოფიზიკური და ფიზიოლოგიური აქტივობის დონეზე იმდენი დრო წაიღო, რომ მან შემდგომ კვლევაზე გადასვლა ვერ მოასწრო. დარწმუნებული ვარ, რომ დაცლოდა, მისი შემდგომი კვლევა იქნებოდა განწყობა სოციალურ დონეზე. თუმცა მის მიერ თეორიულად დასაბუთებული მოსაზრებები, რომ განწყობა არის პიროვნებისეული მოდიფიკაცია მოსალოდნელი ქცევისათვის და პიროვნების მზაობა ქცევის განხორციელებამდე, პირდაპირ აკავშირებს უზნაძის განწყობის ცნებას თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ ცენტრალურ ცნებასთან, როგორიცაა ატიტუდის ცნება.

მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან საჭირო და საინტერესო გამოდგა ფსიქოლოგიაში მომუშავე ქართველ მეცნიერთა კვლევებში განწყობის ცნების გამოყენება სოციალური ქცევის რეგულაციის შესწავლისას.

რამდენიმე წელია ჩემი კვლევის ობიექტია სოციალური ჯგუფის გავლენა ინდივიდის ქცევაზე. როცა დავიწყე ამ ასპექტში კონფორმულობის ფენომენის კვლევა და გავეცანი იმ თეორიებს, რომელიც დასავლეთში ასეთი ტიპის ქცევის ასახსნელად არსებობს, აღმოჩნდა, რომ განწყობის თეორია ყველაზე კარგად ხსნის ამ ტიპის ქცევის კანონზომიერებას. კერძოდ, ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, კონფორმულობა, ანუ ჯგუფის გავლენა, მარტო ჯგუფის თავისებურება კი არ არის, მას განაპირობებს ინდივიდის განწყობა, ანუ დამოკიდებულება ჯგუფის მიმართ. მახსოვს, თავის დროზე დისერტაციაში გამოვიყენე რუსთაველის ფრაზა: „იგი თვით ების ვინ ების“... ანუ თავად შენ უნდა იყო ღია გავლენის მისაღებად, რათა ჯგუფმა გავლენა მოახდინოს, თორემ ჩვენ ვხედავთ, რომ არიან ისეთი პიროვნებები, რომლებზეც რაღაც ჯგუფი ახდენს გავლენას და არიან ისეთებიც, რომლებიც ამ ჯგუფის გავლენის ქვეშ არ ექცევიან. ანუ ძნელია გამოვაცხადოთ, რომ კონფორმულობა არის მხოლოდ ჯგუფის ან მხოლოდ პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისება.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ერთი და იგივე ადამიანს შეუძლია ერთ ჯგუფში იყოს ძალიან კონფორმული და მეორე ჯგუფში — არა. რაზეა ეს დამოკიდებული? ახსნის მექანიზმი დევს იმაში, რომ, პიროვნების განწყობის თეორიის მიხედვით, ჯგუფისადმი დამოკიდებულება განაპირობებს იმას, თუ რამდენად მისაღებია მისთვის ამ ჯგუფიდან წამოსული გავლენა.

დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიიდან ბევრი რამ გამოვიყენე, ასევე, უმრავლესობა-უმცირესობის გავლენის კვლევის დროსაც.

ამდენად, მიმაჩნია, რომ „განწყობის ფსიქოლოგიას“ შეუძლია სოციალური ქცევის ახსნაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სათანადოდ ვერ ვიყენებთ მას.

დღეს ქართველ ფსიქოლოგთა ნაშრომებში სათანადოდ არ ხდება იმ თეზისების გაფართოება და განვითარება, რაც უზნაძის თეორიებში დევს. ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, შეიქმნას მკვლევრების ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს. მით უმეტეს, აწ გასვენებული აკადემიკოსის, შოთა ნადირაშვილის კვლევებში ბევრი საინტერესო წინაპირობაა დასახული განწყობის ფსიქოლოგიის გამოყენებისათვის სოციალური ფსიქოლოგიის დონეზე.

ასევე, საჭიროდ ვთვლი განწყობის ფსიქოლოგიის პოპულარიზაციას დასავლეთში, რაც ქართველმა მეცნიერებმა თავის საქმედ უნდა აქციონ. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოახერხებს და შეიქმნება ფსიქოლოგების ჯგუფი, რომელიც უცხოელებისთვის მისაწვდომს და გასაგებს გახდის ამ დიდი მეცნიერის ნააზრევს. ეს, თავის მხრივ, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის და, შესაბამისად, ქართული მეცნიერების მიმართ ინტერესსაც გაზრდის.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲣᲖᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ





დიმიტრი უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკული განხილვა-შეფასება და დისკუსია მის გარშემო დაიწყო მისი დამუშავების ადრეულ სტადიაზე და განსხვავებული ინტენსივობითა და მასშტაბით გრძელდებოდა თითქმის მთელი ხნის მანძილზე, რაც დიმიტრი უზნაძის სკოლა არსებობდა. ამ სამეცნიერო სკოლის აღმოცენების ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია, მაგრამ, სავარაუდოდ, მისი არაოფიციალური გაფორმების საწყის ეტაპად „საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების“ (თავდაპირველად მას ასე ერქვა) შექმნა შეიძლება მივიჩნიოთ (1927 წ). უზნაძის შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი მონაპოვრის — განწყობის თეორიის დაცვა უამრავი შემოტევისაგან სწორედ ამ მეცნიერული სკოლის წარმომადგენლებს ხვდა წილად.

ყოველივე ეს დიმიტრი უზნაძის გარდაცვალების (1950 წ.) შემდეგ დაიწყო. აზრთა სხვადასხვაობა სკოლის შიგნით, ცხადია, მანამდეც არსებობდა, მაგრამ ამჟამად შევჩერდებით არა სკოლის შიგნით არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, არამედ სკოლის გარედან მომდინარე კრიტიკულ შეფასებებზე. ისინი გამოითქმოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, სპეციალური თათბირებისა და დისკუსიების სახით. პირველი ასეთი დისკუსია მოეწყო თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით 1952 წლის 8-11 აპრილს სახელწოდებით „საბჭოთა ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი“.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირში იდეოლოგიური ატმოსფერო დაიძაბა. ამის ერთერთი გამოხატულება იყო მეცნიერებაზე პარტიული კონტროლის გამძაფრება. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ სოფლის მეცნიერებათა აკადემიის 1948 წლის გახმაურებული სესია, რომელზეც, ფაქტობრივად, განადგურებულ იქნა გენეტიკა. მას მოჰყვა 1950 წელს სტალინის უშუალო დავალებით მალენკოვისა და ჟდანოვის მიერ ორგანიზებული ე.წ. ორი აკადემიის (დიდი და სამედიცინო აკადემიის) გაერთიანებული სესია. იგი მიეძღვნა იმას, რომ ივანე პავლოვის მოძღვრება გამოცხადებულიყო ერთადერთ ჭეშმარიტ სწავლებად, რომელზეც უნდა დაფუძნებულიყო ბიოლოგია, მედიცინა და ფსიქოლოგია. ამან ბიძგი მისცა მოძრაობას ფსიქოლოგიის პავლოვურ ყაიდაზე გადაყვანის მიმართულებით. ამაზე მსჯელობა გაიმართა სესიიდან რამდენიმე თვის მერე მოსკოვში პედაგოგიკური აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. 1951 წლის დასაწყისში პარტიის ცენტრალურ ორგანოს, გაზეთ „პრავდის“ წერილში მკაცრი შეფასება გაკეთდა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ჩამორჩენის თაობაზე, რასაც მოჰყვა აზრთა გაცვლა-გამოცვლა „უჩიტელსკაია გაზეტას“ ფურცლებზე. ბოლოს, 1952 წელს მოსკოვში გამართა თათბირი ქვეყნის წამყვანი ფსიქოლოგების მონაწილეობით. მას წინ უძღოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწყობილი აღნიშნული დისკუსია. იგი გამოძახილი იყო ზემოთ მოყვანილი მოვლენებისა, მაგრამ მას უშუალო ბიძგი მისცა ერთი თვით ადრე „ლიტერატურულ გაზეთში“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფიზიოლოგ დიმიტრი გედევანიშვილის წერილმა — „ერთი იდეალისტური კონცეფციის შესახებ ფსიქოლოგიაში“. წერილი მიმართული იყო დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. მას საგრძნობი რეზონანსი მოჰყვა მეცნიერულ წრეებში. მან განსაკუთრებული გაღიზიანება და შეშფოთება გამოიწვია ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებში. წერილში გამოთქმული შეფასებები და ბრალდებები, ისედაც მწვავე იდეოლოგიურ ფონზე, აუცილებლად მოითხოვდა პასუხს.

რეაგირების ყველაზე ოპტიმალურ და ეფექტურ ფორმად მიიჩნიეს საჯარო დისკუსია. იგი იშვიათი ოპერატიულობით მომზადდა. ერთ თვეში მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში დაისტამბა დისკუსიის მოხსენებების თეზისები. ამ მცირე ზომის კრებულში წარმოდგენილია სულ ხუთი ავტორის (ალექსანდრე ფრანგიშვილის, რევაზ ნათაძის, ანგია ბოჭორიშვილის, დარეჯან რამიშვილის, იოსებ ბჟალავას) გაშლილი თეზისები.

როგორც სტენოგრაფიული მასალა მოწმობს, დისკუსიაში სულ 28 მეცნიერი გამოვიდა. შესავალი და შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკო ბერძენიშვილმა. თვითმხილველთა გადმოცემით, სხდომებმა მთელი თბილისის ინტელიგენცია ააფორიაქა. ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე ე.წ. „მასწავლებელთა სახლის“ დარბაზი მსმენელს ვერ იტევდა. ატმოსფერო უკიდურესად დაძაბული იყო. ყველას ესმოდა, რომ სასწორზე იყო შემოდებული არა მხოლოდ ყველას მიერ სათაყვანებელი მეცნიერის — დიმიტრი უზნაძის სახელი და ღირსება, არამედ, შესაძლოა, მთელი ფსიქოლოგიური სკოლის ბედი.

დისკუსიაზე, არსებითად, ორი საკითხი განიხილებოდა: 1) ი. პავლოვის მოძღვრება და ფსიქოლოგია და 2) დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის იდეოლოგიური კორექტულობა. ვინაიდან მეორე საკითხი პირველთან კავშირში განიხილებოდა, ამიტომ გამომსვლელთა დიდი ნაწილი, არსებითად, ორივე საკითხს შეეხო.

დისკუსიის ყველაზე მნვავე თემა იყო განწყობის თეორიის განხილვა ფსიქოლოგიის გარშემო მიმდინარე კამათის კონტექსტში. დაისვა კითხვა, თუ უზნაძის სკოლაში მიმდინარე კვლევა-ძიება რამდენად შეესაბამება იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც საბჭოთა იდეოლოგია მეცნიერებას უყენებს. ასე დასვა საკითხი ძირითადმა „მბრალდებელმა“ დ. გედევანიშვილმა. ასეთივე იყო დისკუსიის კიდევ ორი ფიგურანტის, ფილოსოფოსების ალექსანდრე ქუთელიასა და კონსტანტინე აკბარდიას მოხსენების მიზანდასახულობაც. კრიტიკული იყო, აგრეთვე, სიმონ ყიფშიძის გამოსვლებიც.

დ. გედევანიშვილის ყველა კრიტიკული მოსაზრება, საბოლოოდ, მთავარი ბრალდების — განწყობის ფსიქოლოგიის იდეალისტურობის დამტკიცებას ემსახურება. ძირითადი არგუმენტი შემდეგშია: დ. უზნაძემ მოიპოვა საინტერესო ფაქტები, რომლებიც აღქმის ილუზიებს ეხება. მაგრამ ამ ფაქტების ამხსნელი „უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფცია თავის საფუძველში არის იდეალისტური, ანტიპავლოვური“.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის რამდენიმე თაობამ ღირსეულად წარმოაჩინა თავი ამ დისკუსიებში. განსაკუთრებულ მოხსენიებას იმსახურებენ უზნაძის სკოლის პირველი თაობის შესანიშნავი მკვლევარები: ერეკლე აბაშიძე, ანგია ბოჭორიშვილი, იოსებ ბჟალავა, ნინო ელიავა, რევაზ ნათაძე, ვლადიმერ ნორაკიძე, დარეჯან რამიშვილი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, ბარნაბ ხაჭაპურიძე, ზოსიმე ხოჯავა, შალვა ჩხარტიშვილი და სხვა.

უზნაძის სკოლის წარმომადგენლებმა დამაჯერებლად დაიცვეს განწყობის თეორიის მეცნიერული ღირსება აშკარად იდეოლოგიური ხასიათის მქონე კრიტიკისგან. ამ სახის კრიტიკა ყველაზე სახიფათოა, ვინაიდან თავისი არსით დოგმატურია და პოლიტიზირებული. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სავალალო, ხშირად ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ ბრალდებებს იმდროინდელ საბჭოთა იმპერიაში. ამ დისკუსიას გამოეხმაურა ოფიციოზი და თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია მოსკოვიდან, რომელსაც ცენტრში უნდა წარედგინა დასკვნა უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის მეცნიერული და პოლიტიკური სახის შესახებ.

სულ მალე ქართული ფსიქოლოგია რეალური საფრთხის წინაშე დადგა. 1955 წლის ივლისში მოსკოვში ჩატარდა თათბირი განწყობის თეორიის გაშემო, რომელშიც მონაწილეობდა იმდროინდელი საბჭოთა ფსიქოლოგიის ყველა წამყვანი ფიგურა. მოხსენებებში, ერთი შეხედვით, მეცნიერული საკითხები განიხილებოდა, მაგრამ ბევრ გამოსვლაში, ღიად ან ქვეტექსტის სახით, ეჭვის ქვეშ დგებოდა უზნაძის თეორიის იდეოლოგიური კორექტულობა. ეს კიდევ უფრო ცხადად გამოვლინდა იმ დისკუსიაში, რომელიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა ცენტრალური ფსიქოლოგიური ჟურნალის ფურცლებზე.

აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ როგორ მიმდინარეობდა პოლემიკა განწყობის თეორიის იდეალისტურობასა და პავლოვის სწავლებასთან შესაბამისობის თაობაზე, ამის შესახებ დაწვრილებით არის ინფორმაცია დაბეჭდილი დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის რეცენზირებულ, რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალ „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“-ში (2010 წ.). მასში გამოქვეყნებული ჩემი წერილი სათაურით „1952 წლის დისკუსია დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის გარშემო“ ვრცლად აღწერს დისკუსიის მიმდინარეობას და პაექრობის დეტალებს.

მოკლედ შეიძლება იმის თქმა, რომ ინტელექტუალურ პლანში ამ დისკუსიამ შეასრულა ერთგვარი პოლიგონის ფუნქცია, სადაც გამოიცადა, დაზუსტდა და დაიხვეწა არგუმენტაცია სერიოზულ ოპონენტებთან საკამათოოდ, ბევრად უფრო რთულ სიტუაციაში და სოციალურ გარემოში. აღსანიშნავია, რომ თბილისში აუდიტორიის უდიდესი ნაწილი ქართველ ფსიქოლოგებს თანაუგრძნობდა. ეს არ იყო მოსკოვის დისკუსიაზე (თათბირზე) 1955 წელს, სადაც აუდიტორია შეუდარებლად უფრო კრიტიკული იყო და რომლის გადაწყვეტილებები პირდაპირი მნიშვნელობით საბედისწერო შეიძლებოდა გამხდარიყო დ. უზნაძის სკოლისათვის. მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ ამ პაექრობამ ხელი შეუწყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კონსოლიდაციას. ქართველი ფსიქოლოგები საკმაოდ მომზადებულები დახვდნენ ამ განსაცდელს და უზნაძის მოძღვრება და სკოლა გადარჩა...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔ
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲣᲖᲜᲐᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

როგორც ქართული ფსიქოლოგიის ისტორიის მკვლევარები ამბობენ, ქართული ფსიქოლოგიის ისტორია, არსებითად, ორ პერიოდს მოიცავს: უზნაძემდე და უზნაძის შემდეგ. დიმიტრი უზნაძე სწორედ ის ცენტრალური ფიგურაა, რომელიც სათავეს უდებს ახალ თეორიულ თუ პრაქტიკულ ფსიქოლოგიურ აზროვნებას საქართველოში. უზნაძის და მისი სკოლის ისტორიის შემსწავლელ მრავალ ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა შორისაა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის ლაურეატი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔᲪ, *რომელმაც 2008 წელს გამოცემულ წიგნში „ფსიქოლოგიის ისტორია“ განიხილა საკუთრივ უზნაძის სკოლის მონაპოვარიც. ირაკლი იმედაძე, რომელმაც უზნაძის ფართო სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა ასპექტი წარმოგვიდგინა და სიღრმისეულად გაშალა უზნაძის თეორიის არსი, დაინტერესებულია ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის პოპულარიზაციით არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, არამედ საზღვარგარეთაც. ამ მიზნის მსახურებისას მან უზნაძის შთამომავალთა, მისი სკოლის მიმდევართა თუ მოსწავლეთა ჩანაწერებში, შრომებში, სხვადასხვა საკონფერენციო მასალებსა თუ არქივებში არაერთი ინფორმაცია მოიძია და შეაგროვა. უცხოელ თუ ქართველ ფსიქოლოგთა საზოგადოებასთან, უზნაძის შთამომავლებთან პირადი ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საფუძველზეც ირაკლი იმედაძემ საკმაო ცოდნა დააგროვა დიმიტრი უზნაძის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის თაობაზე, რაც მომავალი თაობისთვის საინტერესოდ მოსასმენია. სწორედ მის მიერ წარმოდგენილი ფრაგმენტებით შევეცდებით დიდი მეცნიერის ცხოვრების „გაშიფვრას“.*



ᲣᲖᲜᲐᲫᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲔᲑᲘ

დიმიტრი უზნაძემ კვლევითი მუშაობა ფსიქოლოგიაში გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ფსიქოლოგია ე.წ. „ღია კრიზისის ხანაში“ შევიდა და ტრადიციული ფსიქოლოგიის უნაყოფობა საყოველთაოდ ნათელი გახდა. ევროპასა და ამერიკაში თავი იჩინა ფსიქოლოგიის რეფორმირების ძლიერმა ტენდენციამ. გაჩნდა სრულიად ახალი ფსიქოლოგიური სისტემები (ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი, გეშტალტფსიქოლოგია და ა.შ.), რომლებიც სხვადასხვა ასპეტში დაუპირისპირდნენ კლასიკურ ფსიქოლოგიას. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური კონცეფციები ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ და ბევრი მხრივ ურთიერთგამომრიცხავნიც იყვნენ. ფსიქოლოგიური კვლევა განსხვავებული და შეუთავსებელი პროგრამების საფუძველზე მიმდინარეობდა. არ არსებობდა ერთიანი ფსიქოლოგიური მეცნიერება; არსებობდა მრავალი ფსიქოლოგია. საჭირო იყო მოცემული ფსიქოლოგიური სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეების გარკვევა და პრინციპული ხარვეზების დაძლევის გზის პოვნა.

თავდაპირველად უზნაძემ სწორედ ასეთ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ სამუშაოს მოჰკიდა ხელი. სათანადო ანალიზის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქამდე არსებულ ყველა ფსიქოლოგიურ შეხედულებას ერთი საერთო შეცდომა ახასიათებდა. ისინი დაფუძნებულნი იყვნენ შეუმოწმებელ და უკრიტიკოდ მიღებულ მეთოდოლოგიურ პრინციპზე, რომელსაც უზნაძემ უშუალობის პოსტულატი უწოდა. თავის ორიგინალურ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში მან ამოცანად აღნიშნული პოსტულატის დაძლევა დაისახა. ამ მეთოდოლოგიურ ამოცანას შემდგომში „უზნაძის ამოცანა“ უწოდეს.

დაისახა რა აღნიშნული მეთოდოლოგიური ამოცანა, უზნაძე ახალი ფსიქოლოგიური სისტემის შექმნას შეუდგა. კვლევა-ძიება თავიდანვე ერთდროულად თეორიულ და ემპირიულ პლანში მიმდინარეობდა. დამუშავდა სისტემის ცენტრალური ცნება — განწყობა; გამოიკვეთა მისი არსებითი ნიშნები. პარალელურად დაიწყო განწყობის სპეციფიკური ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და კანონზომიერებების ექსპერიმენტული შესწავლა.

განწყობა პირველადი მდგომარეობაა, რომელთან მიმართებაში სუბიექტში მიმდინარე ყველა ფსიქოფიზიკური პროცესი მეორადი ხასიათისაა. უზნაძის თეორიის ძირითადი სქემა ასეთია: გარემო — სუბიექტი (განწყობა) — ქცევა. განწყობა გააზრებულია როგორც შუალედური ცვლადი გარემოსა და ქცევას შორის.

ᲒᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ფრაგმენტები დიმიტრი უზნაძისადმი განწყობისთვის

მეხუთე გვერდიდან

იგი ქცევის უშუალო მიზეზია, ქცევის რეალური ფსიქოლოგიური მექანიზმია.

განწყობის ფსიქოლოგიაში პიროვნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. აქ შეიძლება რამდენიმე ასპექტი გამოიყოს: ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით მოცემულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ქცევის მთლიანი სუბიექტის (მათ შორის პიროვნების) ფსიქოლოგიური არსებობის ფორმა, მოდუსი — არის განწყობა. ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ ქცევის ყოველი სუბიექტი მთლიანია, მაგრამ ყოველი სუბიექტი არ არის პიროვნება (მაგ, ცხოველი). აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დაისმის საკითხი პიროვნების, როგორც სპეციფიკური ადამიანური ქცევის სუბიექტის თავისებურების შესახებ. ქცევისა და ფსიქიკის ადამიანური დონის სპეციფიკის ცხადყოფა უზნაძისთვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა.

უზნაძის და მისი მოწაფეების ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად დამტკიცდა, რომ ილუზიის რა სახეს თანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ის გამოწვეულია ცდის პირველ ნაწილში დაფიქსირებული განწყობის მოქმედებით. განწყობა, რომელიც იქმნება და მტკიცდება საფიქსაციო ცდაში, განსაზღვრავს და წარმართავს პერცეპტულ პროცესს — აღქმის ილუზიას. ეს მეთოდი ფიქსირებული განწყობის მეთოდის სახელითაა ცნობილი, ხოლო მისი გამოყენებით მიღებულ განწყობის ეფექტს პიაჟემ „უზნაძის ეფექტები“ უწოდა. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამდაგვარი განწყობის ეფექტების მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ აღქმის, არამედ აზროვნების, წარმოსახვის, ფსიქო-მოტორული აქტივობის თუ სხვა სფეროში. ეს სავსებით ადასტურებს იმას, რომ განწყობა ყოველგვარი ფსიქოფიზიკური აქტივობის საფუძველსა და გამსაზღვრელ მექანიზმს წარმოადგენს. უზნაძის მეთოდი უბრალოდ საშუალებას იძლევა განწყობა ხელოვნურად შევქმნათ, გავაძლიეროთ და შემოვინახოთ, დავადგინოთ მისი აქტივობაში გამოვლენის კანონზომიერებანი.

პირველ რიგში, დამტკიცდა თეორიის ძირითადი დებულებები განწყობის ბუნების შესახებ. სახელდობრ, განწყობის მთლიანობა და არაცნობიერობა.

პიროვნების (სუბიექტის) კატეგორიასთან ერთად განწყობის თეორიაში დამუშავებულია ფსიქოლოგიის ისეთი ძირეული კატეგორიებიც, როგორებიცაა ქცევა, ცნობიერება

თემის რესპონდენტი
ირაკლი იმედაძე

და არაცნობიერი. სრულყოფილი, უნივერსალური ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია ამ კატეგორიებს ერთიანი პრინციპიდან გამომდინარე უნდა განიხილავდეს. ასეა განწყობის თეორიაში.

მოგვაინებით უზნაძემ განწყობა ერთმნიშვნელოვნად ფსიქიკის სფეროს მიაკუთვნა.

ფსიქოლოგიაში არაცნობიერის შესწავლა ტრადიცულად ფსიქოანალიზის დომინირების ნიშნით მიმდინარეობდა. უზნაძე თავიდანვე დაუპირისპირდა არაცნობიერის ფროიდისტულ გაგებას. მას მიაჩნდა, რომ ფროიდის თვალსაზრისი არაცნობიერის ბუნებისა და წარმოშობის თაობაზე არ გვაძლევს რაიმე ახალ ცოდნას ფსიქიკის რაობისა და მისი განვითარების შესახებ.

უზნაძე აკრიტიკებდა ფროიდის არაცნობიერის კონცეფციას, მაგრამ აღიარებდა ფსიქოანალიზის წარმატებებს მკურნალობის პროცესში. მისი აზრით, ფროიდი, მართლაც, ხშირად ახერხებდა იმის დადგენას, რაც რეალურად აპირობებდა დაავადების პროცესს. უზნაძე თვლიდა, რომ ეს იყო ე.წ. არარეალიზებული განწყობები. ნევროტული მოვლენების გარდა, ამ განწყობათა გამოვლენებია ფსიქოანალიზის სხვა ფაქტოლოგიაც: წამოცდენები, სიზმრები, ასოციაციები და სხვა. არარეალიზებულ განწყობებად ის შემთხვევებია მიჩნეული, როცა განწყობა, რაღაც ვითარების გამო, ვერ ახერხებს მოქმედებაში გადასვლას და განუხორციელებელი რჩება. სუბიექტს მრავალი ასეთი განწყობა აქვს. ისინი მუდამ ესწრაფვიან რეალიზაციისკენ, რაც ვლინდება ან აქტიურ ფანტაზიაში ან ე.წ. ცნობიერის შეცვლილ მდგომარეობებში (მაგ. სიზმარი, ოცნება).

მაგრამ განწყობა, პირველყოვლისა, ჩვეულებრივი ან სიფხიზლის ცნობიერების გამაპირობებელი მექანიზმია. უზნაძისთვის ცნობიერების კატეგორია ერთერთი უმნიშვნელოვანესია და იგი მრავალი ასპექტით აანალიზებს მას.

სხვადასხვა სახის შეფასება განწყობის ფსიქოლოგიას არ დაკლებია. დასავლეთში იგი არსებითად განიხილებოდა ე.წ. „საბჭოთა ფსიქოლოგიის“ ნაწილად. ეს, შესაძლოა, ფორმალურად მართებულიც იყო, მაგრამ განწყობის თეორია მაინც ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა ფსიქოლოგიის სხვა კონცეფციებისგან მთელი რიგი ნიშნებით, პირველ ყოვლისა იმით, რომ ის პრაქტიკულად არ იყო იდეოლოგიზირებული. ეს გარემოება, სხვათაშორის, შედარებით ობიექტურ დასავლელ ექსპერტებსაც არ გამოჰპარვიათ. ყველა წამყვანი საბჭოთა თეორეტიკოსი თავისი შეხედულებათა სისტემის აგების საჭიროებას მაქრსისტული ფსიქოლოგიის შექმნის აუცილებლობით ასაბუთებდა. უზნაძეს არასოდეს დაუსვამს ასეთი ამოცანა და არც ოფიციოზის საამებლად მოუხდენია ამგვარი განზრახვის დეკლარირება. განწყობის თეორიის შექმნის მოტივაცია დაკავშირებულია მეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემებთან, ისეთებთან, როგორიცაა ფსიქოფიზიკური პრობლემა, სუბიექტის პრობლემა, ქცევის მიზანშეწონილების პრობლემა და ფსიქიკის განვითარების პრობლემა. ბუნებრივია, რომ იმ სახელმწიფოში, რომელშიც განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა, მისი იდეოლოგიური კორექტულობის საკითხი თითქმის მუდმივად იდგა დღის წესრიგში. იგი მრავალჯერ გამხდარა განხილვის, შეფასებისა და უაღრესად მწვავე დისკუსიების საგანი.

კამათში ხშირად გამარჯვებული

საქართველოში უზნაძის აქტიური მოღვაწეობის პერიოდში ინტელექტუალური ცხოვრება ჩქეფდა, იმართებოდა დისკუსიები და პაექრობები. რაიმე კონკრეტულ თემაზე — პოლიტიკურ-სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ საკითხებზე ორ მოკამათეს დაუპირისპირებდნენ ხოლმე ერთმანეთს და მიდიოდა კამათი, შემდეგ კი ჟიური გამარჯვებულს გამოავლენდა. დისკუსია იბეჭდებოდა გაზეთებში. დიმიტრი უზნაძე სწორედ ასეთ პოლემიკებში იღებდა ხშირად მონაწილეობას. იგი ძალიან აქტიური კაცი იყო და პოლიტიკურადაც მომზადებული გახლდათ. ძალიან ძნელი იყო მასთან კამათი, რადგან ფაქტებით საუბრობდა. არ პატიობდა არავის არასერიოზულ დამოკიდებულებას მეცნიერების მიმართ ან გახუმრებას მეცნიერებასთან. ერთხელ დისკუსია ჰქონდა მწერალ გრიგოლ რობაქიძესთანაც, რომლის ჩანაწერიც არსებობს. ისინი ძალიან საინტერესოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებით, თუ რაშია შემოქმედების არსი? რას ემსახურება სამწერლო და პოეტური შემოქმედება? რით იკვებება? და ა.შ. წერილობითი სახითაც ჰქონდათ გარკვეული პოლემიკა, მაგრამ დისკუსია საჯაროდ შემდგარა.

როგორ გადაურჩა რეპრესიებს

დიმიტრი უზნაძეს, როგორც გერმანული ფსიქოლოგიის სკოლაგამოვლილს, პირადი ნაცნობობა აკავშირებდა ისეთ მოღვაწეებთან, რომლებიც თითქმის ყველა კლასიკოსად ითვლება ფსიქოლოგიის სფეროში და რომლებიც არაერთ სახელმძღვანელოშია შესული, მაგრამ ძალიან ბევრთან შემდეგ შეგნებულად გაწყვიტა ურთიერთობა. საქართველოში გამეფებული რეპრესიების დროს სთხოვდა მათ, არ მიეწერათ მისთვის წერილები, რადგან მიმოწერის შემთხვევაში შეიძლება დაეჭირათ კიდეც. საერთოდ სასწაულად გადარჩა. მას გაუმართლა, თუ შეიძლება ითქვას. შინსახკომში ბევრი მისი ყოფილი მოსწავლე იყო და ერთხელ, 1936 წელს, ერთერთმა მისმა ნამოწაფარმა წინასწარ გააფრთხილა თურმე, რომ მის წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული და დღე-დღეზე მიაკითხავდნენ დასაჭერად. როცა მიადგნენ სახლში, უზნაძე იქ აღარ დახვდათ, რადგან კახეთში იმალებოდა. რამდენიმე თვე თბილისში არ გამოჩენილა და შემდეგ ამ ტალღამ გადაიარა და ასე გადარჩა...

სტალინთან აუდიენციის მოლოდინში

ცნობილია ის ფაქტი, რომ ბერიას უნდოდა (ეს არის 50-იანი წლების მიჯნაზე), რომ შეეხვედრებინა სტალინისთვის. ამბობენ, რომ სტალინს სამუშაო მაგიდაზე უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია” ედოო და, როგორც ჩანს, სურდა ის გაეხადა საყოველთაო ფსიქოლოგიად. ეს რომ ასე მომხდარიყო, ახლა პირველი ხალხი ვიქნებოდით, ცნობადობის თვალსაზრისით, მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ ეს რუსებს ძალიან არ მოეწონებოდათ. სტალინთან შეხვედრის მოლოდინში თურმე ერთიორი თვე მჯდარა მოსკოვის ერთერთ სასტუმროში ბატონი დიმიტრი, თანაც არ იცოდა, რისთვის იყო გამოძახებული კრემლში. ეს მხოლოდ შემდეგ გაიშიფრა... მოუცლელობის თუ სტალინის გადაუწყვეტელობის გამო ეს შეხვედრა ვერ შედგა. უზნაძე ცოცხალ-მკვდარი დაბრუნებულა საქართველოში, რადგან ჯერ კიდევ არ იცოდა – რისთვის იყო სტალინთან დაბარებული.

დიმიტრი უზნაძის უბედურება ის იყო, რომ იმ პერიოდის დროინდელ საქართველოში დაიბადა, თორემ ნორმალურ ქვეყანაში რომ ყოფილიყო, შევიდოდა მსოფლიოში ცნობილ იმ ფსიქოლოგთა ჩამონათვალში, რომელშიაც თავისი მომზადებისა თუ ინტელექტის, თავისი თეორიის ხარისხით არავის ჩამოუვარდებოდა.

აქტუალური

რა ფორმატში გააგრძელებს საქმიანობას უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი?

დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფუნქციონირების სამომავლო ბედი ამჯერად მთავრობის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან ილიას უნივერსიტეტს დაქვემდებარებული ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა მუშაობა, ამ ეტაპზე, ძველი შემადგენლობით შეწყვიტა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა კი, როგორც ირაკლი იმედაძე ამბობს, მზად არის — მთავრობის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უზნაძის სახელობის ინსტიტუტმა ფუნქციონირება ჯავახიშვილის უნივერსიტეტის წიაღში გააგრძელოს. „ბიუჯეტი თუ არ აღგვიდგინეს, თუ არ მოგვცეს ჩვენი ქონება და ის უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც უზნაძისდროინდელი წიგნადი ფონდით არის მდიდარი, ამის გარეშე მუშაობის გაგრძელება გაგვიჭირდება. თუ სამთავრობო დონეზე იქნება კეთილი ნება გამოხატული, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი სანდრო კვიტაშვილი ყოველმხრივ თანადგომას გვპირდება. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ინსტიტუტი სრული ფორმატით ვერ გააგრძელებს მუშაობას, შესაძლებელია ფიქრი ფსიქოლოგიის კვლევითი ცენტრის გახსნაზე,” — აღნიშნა ჩვენთან საუბარში დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტმა ირაკლი იმედაძემ, რომელიც თავის ყველა თანამშრომელთან ერთად დღედღეზე ელოდება უზნაძის სახელობის ინსტიტუტის ბედის სასიკეთოდ წარმართვას.

მოამზადა **ნინო კაკულია**

ფსიქოლოგთა ყველა თაობისთვის აღიარებული მეცნიერი

დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო შრომები, რომლებიც ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებზეა გამოქვეყნეული, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკვანძო საკითხებს ეძღვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი „განწყობის თეორია“, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის მონაპოვრად ითვლება. დღეს მეცნიერის სამეცნიერო შრომებზე ფსიქოლოგთა ახალი თაობა იზრდება. რამდენად იცნობენ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელს და მის ფუნდამენტურ კვლევებსა თუ ექსპერიმენტებს მომავალი ფსიქოლოგები, ამის გასარკვევად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტებს გავესაუბრეთ.

ნინო შავლოხაშვილი,
ფსიქოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი:

— როდესაც განწყობის ფსიქოლოგიის სწავლა დავიწყე, რთული მომეჩვენა, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან დამაინტერესა, განსაკუთრებით ის ორი ფაქტორი, რომელიც იწვევს განწყობას — მოთხოვნილება და სიტუაცია. ამის შესახებ ნაშრომიც დავწერე, რომელმაც მოწონება დაიმსახურა. არაჩვეულებრივი ლექტორი გვყავს ვახტანგ ნადარეიშვილი, რომელიც ყველანაირად გვეხმარება და ცდილობს, მაქსიმალური ცოდნა მოგვცეს.

სალომე ტყეშელაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი:

— ახლა დავიწყე განწყობის ფსიქოლოგიის სწავლა და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ლექციებს ვაცდენ, ჩამომიყალიბდა ხედვა, თუ რას ნიშნავს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. ადამიანს ჯერ ექმნება განწყობა, რომელიც შემდეგ მის ქცევას განსაზღვრავს. ამ საგანს ბატონი ვახტან ნადარეიშვილი მიკითხავს, რომელიც დამოუკიდებელ აზროვნებას გვაჩვევს. ძალიან დადებითი დამოკიდებულება მაქვს დიმიტრი უზნაძის პიროვნების მიმართ. მან დაუდო სათავე ქართული ფსიქოლოგიის განვითარებას. რომ არა მისი სამეცნიერო შრომები, ჩვენს ფაკულტეტზე, ახლა, სხვა ვითარება იქნებოდა.

ნინო ხუციშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი:

— დიმიტრი უზნაძე ყველაზე დიდი ფსიქოლოგია ქართულ ფსიქოლოგიაში. მან ღრმა განათლება მიიღო. საქართველოში, ფსიქოლოგიის მიმართულებით, ყველაზე დიდი შრომა დიმიტრი უზნაძემ გასწია. მან, მართალია, ძალიან დიდი სამეცნიერო შრომა დაგვიტოვა, მაგრამ მისი შეხედულებების კვლევის გაგრძელება და განვითარება აუცილებელია — სწორედ ამას გვასწავლის ბატონი ვახტანგ ნადარეიშვილი და ცდილობს, რომ ძლიერი ფსიქოლოგები აღზარდოს.

გვანცა ჯინაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი:

— დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია საერთაშორისო დონეზეა აღიარებული, რაც ჩემთვის, როგორც ქართველი სტუდენტისთვის, ძალიან საამაყოა. ვფიქრობ, ეს თეორია რომ უკეთ შევისწავლოთ, საჭიროა დაკვირვებები, ტესტები... ჩვენ ახლა არ გვაქვს ფსიქოლოგიური ლაბორატორია, სადაც ამ ყველაფრის გაკეთება პროფესიონალურ დონეზე იქნებოდა შესაძლებელი. თუკი ეს პრობლემა მოგვარდება, ჩვენ უფრო უკეთესად შევისწავლით განწყობის თეორიას. მინდა აღვნიშნო, რომ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის შესახებ ინფორმაციას არა მარტო ფსიქოლოგები, არამედ სხვა სპეციალობის ადამიანებიც უნდა იცნობდნენ.

მე-4 გვერდზე

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში განხორციელებული რეფორმების თაობაზე იმსჯელეს, 9 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე და ამავე სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელმაც აღნიშნა რომ: „პენიტენციალურ სისტემაში მიმდინარე რეფორმების შედეგები მართლაც შთამბეჭდავი და ეფექტურია, რომელიც საზოგადოების ნდობის ფაქტორს ზრდის და ამყარებს. თსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი მზადაა, აქტიურად ითანამშრომლოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეფორმის წარმატებით განხორციელების საქმეში.“

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ დეტალურად ისაუბრა პენიტენციურ და სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებულ იმ ძირეულ რეფორმებსა და ინიციატივებზე, რომელმაც სისტემის სრული რეორგანიზება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება უზრუნველყო, აგრეთვე მოკლედ მიმოიხილა ის მძიმე მდგომარეობაც, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო გამეფებული პენიტენციურ სისტემაში.

„სამინისტროს ინიციატივით, პენიტენციურ სისტემაში მრავალი სიახლე დაინერგა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ხანგრძლივი პაემანი და ვიდეოპაემანი, რომლის ანალოგიც მსოფლიოს მასშტაბით არ მოიძებნება.

უმჯობესდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, რის გამოც, დღეს, მსჯავრდებულთა დაახლოებით 80% სასჯელს დასავლური სტანდარტების დაწესებულებებში იხდის. სამინისტრო რამდენიმე ძველი, ამორტიზებული დაწესებულების გაუქმებასა და მათი ახალი დაწესებულებებით ჩანაცვლებას გეგმავს.

2010 წელს პატიმრობის კოდექსის მიღებამ, სრულიად ახალი მიდგომები დაამკვიდრა სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში, მათ შორის მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე განთავისუფლებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ეს პროცესი ბევრად უფრო გამჭვირვალე და ეფექტური გახდა.

პრობაციის სისტემაში, ასევე, წარმატებით ინერგება რისკების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის თანამედროვე მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მსჯავრდებულის მხრიდან დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი და მისი პრევენციისთვის განვახორციელოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები.

სამინისტროს შუამდგომლობით მრავალი პირობით მსჯავრდებული ჩაირიცხა სასწავლო დაწესებულებებსა და პროფესიული გადამზადების ცენტრებში, ასევე დასაქმდა კერძო სექტორში.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ. ჩვენ შევიმუშავეთ და წარმატებით დავნერგეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კონცეფცია პენიტენციურ სისტემაში, რომლის მიზანია რისკების შემცირება და მოზარდის საზოგადოებაში სრულყოფილ წევრად დაბრუნება“, — განაცხადა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ.

შეხვედრაზე საინტერესო წინადადებები წამოაყენეს თსუ-ის კრიმინოლოგიისა და კრიმინალისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა მზია ლეკვეიშვილმა და ამავე ინსტიტუტის კრიმინოლიგიის ცენტრის ხელმძღვანელმა მორის შალიკაშვილმა, რომელთაც შეხვედრის მონაწილეებს საკუთარი ხედვა გააცნეს მსჯავრდებულთა რაოდენობისშესამცირებლადგასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ. მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ხაზი გაუსვა სამეცნიერო, აკადემიურ წრეებთან ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურებას და აღნიშნა, რომ სამინისტრო მზად არის თანამშრომლობისათვის და სიამოვნებით მიიღებს ყველა კონსტრუქციულ წინადადებას, რომელიც სამეცნიერო წრეების მხრიდან იქნება შემოთავაზებული.

შეხვედრის ბოლოს, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა მადლობა გადაუხადა სამინისტროს წარმომადგენლებს საინტერესო შეხვედრისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ურთიერთანამშრომლობის გაღრმავება ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ �პᲝᲠᲢᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ეგიდით თსუ-ის სამეცნიერო პორტალის პრეზენტაცია 9 დეკემბერს თსუ-ში შედგა.

თსუ-ის სამეცნიერო პორტალის (http://www.rp.tsu.ge) შექმნის მიზანი გახლდათ თსუ-ის მეცნიერ-თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისა და მათი სამეცნიერო აქტივობების კონცენტრირება, მეცნიერებისთვის ურთიერთკავშირების უზრუნველყოფა, მკვლევართა სტიმულირება და პოპულარიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სტუდენტებში სამეცნიერო ინტერესის გაღვივება და მოტივაციის გაზრდა.

პორტალი მოიცავს ინფორმაციას თსუ-ის წიაღში წარმოებული და მიმდინარე კვლევების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას თსუ-ის თანამშრომლებისთვის.

პორტალი დააინტერესებს პოტენციურ პარტნიორებს საზღვარგარეთ, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ბიზნესსა და არასამთავრობო სექტორს, მათ, ვინც ეძებს პარტნიორებს თსუ-დან.

სამეცნიერო პორტალის საშუალებით შესაძლებელი იქნება განხორციელდეს სხვადასხვა სახის სწრაფი ძიება და პროექტების, მკვლევარების, სტატიების და ა.შ. სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

„პორტალი იქნება ერთიანი საინფორმაციო სივრცე, სადაც თსუ-ის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ განათავსონ ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ, ამასთან პორტალი ხელს შეუწყობს უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართველი მეცნიერებით და მათი შესაძლებლობებით,“ — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

პორტალის დახმარებით ნებისმიერ მსურველს შეეძლება მიიღოს ინფორმაცია თსუ-ში კვლევითი ღონისძიებების შესახებ, შეიტყოს კონფერენცია-სემინარების, დაგეგმილი პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და ახალი თარგმანების შესახებ.

„პორტალი ინფორმაციის ოპერატიული გაცვლისათვის კარგი საშუალებაა. პორტალში დარეგისტრირებულ ყველა მომხმარებელს ექნება თავისი განყოფილება (პროფილი), კერძოდ, ყველას მიეცემა შესაძლებლობა ატვირთოს საკუთარი cv, საჯარო გახადოს კვლევის სფერო და ინტერესები, განათავსოს პუბლიკაციები, წიგნები და კვლევითი პროექტები“ — აღნიშნა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ღვედაშვილმა.

პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX)-ის საქართველოს ოფისის დირექტორი ქრის ვოლტერსი, მეცნიერები და სხვა დაინტერესებული პირები დაესწრნენ.

სამეცნიერო პორტალი IREX-ის მიერ დაფინანსებული პროექტის — „თსუ-ის სამეცნიერო პორტალი“ ფარგლებში შეიქმნა. პროექტის ხელმძღვანელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ღვედაშვილია.

ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐ

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ” ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის, 5 დეკემბერს, დიპლომების გადაცემის ცერემონია გაიმართა. მათი ერთობლივი ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამა — „საჯარო მმართველობა“ 2009 წლის დეკემბრიდან ხორციელდება.

„მინდა, მადლობა გადავუხადო შპაიერის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. იმედს ვიტოვებ, რომ პროგრამა ხვალ კიდევ უფრო მეტად წარმატებული და პოპულარული გახდება. ეს არის ის, რაც ასე სჭირდება პროგრესულ, სამართლებლივ ქართულ სახელმწიფოს — წარმატებული საჯარო მმართველობა და ადმინისტრირების კარგი მექანიზმი,“ — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

პირველი სერიოზული წარმატება მიულოცა პროგრამის 7 კურსდამთავრებულს თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელმაც საერთო სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმ სამომავლო პერსპექტივებს, რაც პროგრამის კურსდამთავრებულებს ესახებათ მომავალში.

„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი თსუ-ის პარტნიორი და აქტიური მხარდამჭერია. საერთო სამაგისტრო პროგრამის დანერგვა და განხორციელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული იურიდიული სკოლის კიდევ ერთი აღიარება და წარმატებაა. პროგრამის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორს, ერთობლივი ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს კარლ-პეტერ ზომერმანს, რომელიც ყოველთვის გვერდში უდგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თსუ საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტებს პროფესიული განათლება წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში მიიღონ და აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას მოახმარონ,“ — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

პროფესორმა კარლ-პეტერ ზომერმანმა კმაყოფილება გამოთქვა სამაგისტრო პროგრამის ეფექტური განხორციელების გამო, რომელიც ორივე მხარის დიდ დამსახურებად ჩათვალა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო შრომის ბაზარზე ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს რეალური შანსი ეძლევათ პროფესიულ და კარიერულ წარმატებას მიაღწიონ.

დიპლომების გადაცემის ცერემონიალზე აღლვებას ვერ მალავდნენ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც კმაყოფილებას გამოთქვამდენ ქართველი და გერმანელი პროფესორ-მასწავლებლების მიმართ. ,,მოხარული ვარ, რომ დღეს ამ პროგრამის კურსდამთავრებული ვარ, რაც მაძლევს უნიკალურ შანს წარმატებული საჯარო მოხელე გავხდე. ჩვენ პირველი გამოშვება ვართ და ამიტომ პასუხისმგებლობაც უფრო მეტია. ეს პროგრამა ხელს შეუწყობს ქვეყანაში საჯარო სექტორის განვითარებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი პროფესიული ცოდნა ორივე მხარის გამოცდილების საფუძველზეა დამყარებული,” — განაცხადა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულმა გვანცა ბესელიამ.

საჯარო მმართველობის დაწესებულებებში სასწავლო პრაქტიკის გავლის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი ამ პროგრამის კურსდამთავრებულმა ანა ჭანტურიამ.

ცერემონიის ბოლოს, თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ-პეტერ ზომერმანმა კურსდამთავრებულებს საზეიმოდ გადასცეს დიპლომები და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

კონფერენცია

გენდერის კვლევა

2 დეკემბერს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრისა და თსუ-ის ორგანიზებით მე-3 ყოველწლიური კონფერენცია ჩატარდა თემაზე: „გენდერის კვლევა: უახლესი შედეგები და არსებული მდგომარეობა“. კონფერენცია მიეძღვნა 16 დღიან საერთაშორისო კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ.

გენდერული კვლევა მოცემულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში გენდერული იდენტობის, უთანასწორობის, დისკრიმინაციის, ძალადობის გამოვლინებას, ასევე ქალისა და მამაკაცის პრობლემებს სწავლობს როგორც საოჯახო ყოფაში, ისე გლობალურ დისკურსში, მოიცავს აგრეთვე ფემინიზმის განვითარების დინამიკის აღწერას, ქალთა უფლებების რეალიზების მცდელობებს, ქალთა მოძრაობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარკვევასაც.

ტრადიციულ საზოგადოებებში, რომელთაც, მნიშვნელოვანწილად, საქართველოც მიეკუთვნება, საზოგადოებრივი ცხოვრება მამაკაცის კუთვნილ სამოქმედო ასპარეზად აღიქმება, კერძო კი — ქალის სფეროდ. თანასწორობის საკითხები, გენდერული მოვალეობები და უფლებები განსხვავებულია ამ ორ სფეროში. საინტერესოა გენდერული კვლევის შედეგების გაცნობა მცირერიცხოვანი მოსახლეობით დაკომპლექტებულ რეგიონებში, სადაც მიგრანტ ქალთა რიცხვი მამაკაც მიგრანტებზე გაცილებით მეტია.

„ბოლო კვლევების მიხედვით, ფაქტობრივად, შეიცვალა მიგრანტთა ნაკადები. კვლევების მიხედვით, მიგრანტთა დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ, რომლებიც, უმეტესწილად, დასავლეთ ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში მიდიან და იქ ძიძებად ან შინამოსამსახურეებად მუშაობენ. კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა: პირველი — 2006 წელს. ეს იყო თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუებით. რაოდენობრივი კვლევა კი 2008 წელს ჩატარდა. თიანეთის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ჩვენ გვაქვს საფუძველი დავამტკიცოთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია თიანეთიდან არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, ემიგრანტები ემიგრაციული ქსელების მეშვეობით მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ თავიანთ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს. რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ბევრი თიანეთელისათვის ემიგრაცია მათი და მათი ოჯახების მონაცემების საფუძველზე გაკეთებული დასაქმების გენდერული ანალიზი წარმოადგინა. კვლევის მიხედვით, უმუშევრობა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომელიც, ძირითადად, უარყოფით ზეგავლენს ახდენს მამაკაცებზე, რადგან სამსახური მამაკაცის იდენტობის ცენტრალური ნაწილია. უმუშევრობა არა მარტო ადამიანურ კაპიტალს ამცირებს, იგი დაკავშირებულია გარიყვასა და იზოლაციასთანაც, რამაც ადამიანს შეიძლება უბიძგოს არაჯანსაღი და მაღალი რისკის ქმედების განხორციელებისკენ.

„დასაქმება კეთილდღეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, როგორც კაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. 2011 წლის აპრილში საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, ოჯახში ძირითადი შემომტანი მამაკაცები არიან (54,4%). კვლევის მიხედვით, ქალები მამაკაცებზე გადარჩენის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა, რომ, ჩვენი ვარაუდით, უახლოეს პერიოდში არ უნდა ველოდოთ თიანეთიდან ემიგრაციის ოდენობის შემცირებას“, — განაცხადა თამარ ზურაბაშვილმა.

არსებობს ხვადასხვა გენდერული კვლევა, რომლებიც მიზნად ისახავს გაარკვიოს, რამდენად ახერხებენ ქალები შეინარჩუნონ ბალანსი ოჯახსა და კარიერას შორის და რამდენად აქვთ შექმნილი თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის გარემო. ქალებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს ბალანსის შენარჩუნება ოჯახსა და კარიერას შორის დეკრეტული შვებულების სიმცირისა და ბავშვის მოვლისთვის სამსახურის მხრიდან შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო. როგორც გამოკითხულთა დიდი ნაწილი ამბობს, სამსახურის შერჩევისას პრიორიტეტს ანიჭებენ არა პროფესიულ ინტერესებს, არამედ ცხოვრების წესთან და ოჯახურ მოვალეობებთან მორგებას.

თსუ-ის პროფესორმა ნანა სუმბაძემ მოხსენებაში: „დასაქმების გენდერული საკითხები“ ოფიციალური სტატისტიკური ნაკლებად არიან დასაქმებული. ამ განსხვავების მიზეზები შემდეგში მდგომარეობს: ქალებს ნაკლები სამუშაო დრო აქვთ და, ასევე, მცირეა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა — უფასო საბავშვო ბაღები აღარ არსებობს!“ — აღნიშნა პროფესორმა ნანა სუმბაძემ, რომელმაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეგრეგაციის მიზეზებზე, ქალისა და მამაკაცის შემოსავლის მნიშვნელობაზეც ისაუბრა, რაც თანასწორობის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს.

თსუ-ის პროფესორმა ელენე ჯაფარიძემ საქართველოში ნარკოდამოკიდებულების პრობლემაზე ისაუბრა. როგორც მოგეხსენებათ, ამ კუთხით ქვეყანას დიდი პრობლემა აქვს. ჩვენს ეკონომიკაზე ნარკომომხმარებლების გავლენა დიდია. ამ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა იმ ქალების რიცხვიც, რომლებიც ნარკოდამოკიდებული არიან. „ის მიდგომები და პოლიტიკა, რომელიც მსოფლიოშია ნარკომომხმარებლების კუთხით, ეფექტური არ არის და საჭიროა მთავრობამ უფრო სწორი და შესაფერი პოლიტიკა შეიმუშაოს“, — აღნიშნა ელენე ჯაფარიძემ.

კონფერენცია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გაიმართა. ამავე კამპანიის ნაწილი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1 დეკემბერს გამართული პრეზენტაციაც გენდერის კვლევაში დამატებითი საბაკალავრო პროგრამისა, რომელსაც პროფესორი თამარ ცხადაძე ხელმძღვანელობს. ღონისძიებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩის მეუღლე ჰოლი ჰოლცერ-ბასიც დაესწრო.

გენდერის კვლევის მაინორ პროგრამის პრეზენტაციაზე მოეწყო რეჟისორის ნინო ალექსი-მესხიშვილის ფილმის — „ბედნიერება“ ჩვენება, რომელიც ქართველი ემიგრანტი ქალების ცხოვრების თემაზეა გადაღებული. ნინო ალექსი-მესხიშვილმა ფილმი 2009 წელს გადაიღო და ამავე წელს ვენეციის კინო-ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელიც გახდა.

საბავშვო უნივერსიტეტი

თსუ-ის სადისკუსიო კლუბმა მუშაობა განაახლა

ერთწლიანი შესვენების შემდეგ, თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა თსუ-ის სადისკუსიო კლუბმა მუშაობა განაახლა. კლუბის წევრებმა 10 დეკემბერს ადამიანის უფლებების დაცვის თემაზე დიალოგი გამართეს. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო თსუ-ის ბაკალავრები და მაგისტრანტები, არამედ საჯარო სკოლების მოსწავლეებიც.

„დისკუსიაში მონაწილეობა და თსუ-ის სადისკუსიო კლუბში გაწევრიანება შეუძლიათ სტუდენტებსა და საჯარო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ ამა თუ იმ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გაზიარება, მსჯელობა და დისკუსია. სადისკუსიო კლუბი ხელს უწყობს კლუბის წევრებში კრიტიკული ანალიზის უნარის გამომუშავებას, მოსმენისნის კულტურის ჩამოყალიბებას და მოზარდებს საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვის საშუალებას აძლევს”, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა მარინე ლომოურმა, რომელიც თსუ-ის სადისკუსიო კლუბის აქტიური მხარდამჭერი და ერთერთი დამფუძნებელია.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრობლემატური და აქტუალური საკითხების განხილვა სოციალური დისკუსიის რეჟიმში მრავალ ახალგაზრდას დააინტერებს და მოიზიდავს. ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს გარკვეული სამოქალაქო პოზიცია. ამ კლუბის ფორმატი საშუალებას მისცემთ მათ, საკუთარი შეხედულებები, მოსაზრებები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე თავისუფლად გამოთქვან და პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენტური აზრიც გაიზიარონ,“ — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი გრიგოლაშვილმა, რომელიც თსუ-ის სადისკუსიო კლუბის აქტიური წევრია.

„თსუ-ის სადისკუსიო კლუბში გაწევრიანებით იმიტომ დავინტერესდი, რომ ის ერთგვარი ხიდი გახლავთ — სკოლასა და უნივერსიტეტს შორის. ეს არის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და პროფესორებს შორის თანამშრომლობის, აზრების გაცვლა-გამოცვლის საუკეთესო ასპარეზი, რომელიც ასე გვაკლია, დღეს, ქართველ სტუდენტებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საშუალება გვეძლევა თავად დავამუშაოთ და მოვამზადოთ თემები, რომლებსაც ფართო აუდიტორიას გავაცნობთ. მოსწავლეს სკოლის მერხიდან ახალ სასწავლო გარემოსთან ადაპტირება უძნელდება, ამიტომ სკოლის ასაკიდან თსუ-სთან დაახლოება, დამეთანხმებით, რომ ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება,“ — განახცადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

ევროკომისიის წარმომადგენელმა ოლივერ რაისნენმა ხაზი გაუსვა სტუდენტებისა და მოსწავლეების აქტიურობას, ადამიანის უფლებების საკითხებით ახალგაზრდობის დაინტერესებას, ასეთი სადისკუსიო კლუბების შექმნის მნიშვნელობასა და აღნიშნა, რომ აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება მომავალი წარმატების საწინდარია.

თსუ-ის სადისკუსიო კლუბი უნივერსიტეტის სტუდენტებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ამირან ბერძენიშვილის თაოსნობით 2008 წელს ჩამოაყალიბეს.

თსუ-ის სადისკუსიო კლუბში წინასწარ ხდება სადისკუსიო თემების შეთანხმება „ფაცებოოკ“ -ის „თსუ ანდ სცჰოოლ დისცასიონ ცლუბ“-ის გვერდზე და შემდეგ, ყოველ შაბათს, ამ თემის პრეზენტაცია იმართება, რომელზეც საინტერესო დიალოგი მიმდინარეობს სტუდენტებს, მოსწავლეებსა და სპეციალისტებს შორის. სადისკუსიო კლუბის დამფუძნებლებსა და წევრებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებისათვის აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე ღიად და თავისუფლად საუბარი მცირე წვლილს მაინც შეიტანს ამა თუ იმ პრობლემის გაცნობიერების კუთხით და მათი გადაჭრის სამომავლო გზების ძიებაში.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სტუდენტური ცხოვრება უამრავ საინტერესო, სასარგებლო და სახალისო სიახლის ინიცირებას გულისხმობს, თუმცა პროცესებში ყველა სტუდენტი თანაბრად როდი მონაწილეობს. გამოკითხვის გზით ჩვენ გავარკვიეთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს ახალგაზრდების ის კატეგორია, რომელთაც იდეები აქვთ, თუმცა არ აქტიურობენ, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სხვისგან ელოდებიან მათთვის საინტერესო ღონისძიების მოწყობას. სხვათა ინერტულობას ბევრი უჩივის და იმასაც ამბობს, რომ არაერთი ინიციატივა სწორედ ჯგუფელების ინდიფერენტულობის გამო რჩება განუხორციელებელი.

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

ეკა ყაველაშვილი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტია და რამდენიმე პროექტის გაკეთება სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო ვერ შეძლო.

„ძალიან ბევრი ღონისძიება, რომელიც დაგეგმილი მქონდა, ვერ ჩავატრე, რადგან სტუდენტების მხრიდან დაინტერესება ვერ დავინახე. მაგალითად, მინდოდა ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს რეპორტაჟები მოემზადებინათ და შემდეგ მოგვეწყო მათი პრეზენტაცია პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. ეს იდეა ვეღარ განვახორციელე, რადგან ბავშვებმა არ იაქტიურეს. ვფიქრობ, როდესაც ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, მან სტუდენტური ცხოვრებისთვისაც აუცილებლად უნდა გამონახოს დრო“ — განაცხადა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ეკა ყაველაშვილმა.

სტუდენტები, რომლებიც სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიურად არ მონაწილეობენ, ამის მიზეზად სწავლასა და დროის დეფიციტს ასახელებენ. თუმცა სასიამოვნოს სასარგებლოსთან შეთავსება ყოველთვის შეიძლება. ასე ფიქრობს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი გიორგი ზაქაიძე: „სვანეთი, გეოლოგიური თვალსაზრისით, მართლაც საინტერესოა. სწორედ ამიტომ, სტუდენტებს გვინდა, რომ ექსკურსია მოვაწყოთ, მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ გართობის მიზნით, ეს იქნება შემეცნებითი ხასიათის და სასურველია თან გვახლდეს ჩვენი ერთერთი ლექტორიც. ამ შემთხვევაში დახმარებისთვის სტუდენტურ თვითმმართველობას მივმართავთ“.

გამოკითხვის პროცესში განსაკუთრებით მრავალფეროვანი და საინტერესო იდეები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გაგვიზიარეს. ახალგაზრდების ინიციატივები, ძირითადად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების სურვილს უკავშირდება, რაც, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხერხდება.

„კარგი იქნებოდა, თუ უნივერსიტეტს თავისი რადიო-ტალღა ექნებოდა. ამის საშუალებით დავასაქმებდით თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს. რა თქმა უნდა, რადიოში იმუშავებდნენ მოწვეული სპეციალისტებიც, მათთან ერთად სტუდენტები გამოიმუშავებდნენ კარგ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. რადიო საუნივერსიტეტო ცხოვრებას უფრო გაახალისებდა და გაამრავალფეროვნებდა. ამ იდეის განხორციელებაზე ზრუნვა არ დამიწყია ჯერ, რადგან გარშემომყოფებმა მითხრეს, რომ ეს უამრავ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა ცდა, რა თქმა უნდა, ღირს,“ — გვითხრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ალექსანდრე ქეშელაშვილმა.

„ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში სოციოლოგიური გამოკითხვები ტარდებოდეს იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრობლემებია და ეს გამოკითხვები, სასურველია, თავად სტუდენტებმა აწარმოონ. ამ პროცესს კი კოორდინირება სოციოლოგებმა უნდა გაუწიონ. ეს კარგი იქნება, როგორც სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის, რომლებიც პრაქტიკაში განახორციელებენ თეორიულ ცოდნას, ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. თუ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ამ ინიციატივით დაინტერესდება, მას აუცილებლად მივმართავთ,“ — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა სალომე ქაჯაიამ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, სადაც ვცდილობდი სტაჟირების გავლას, თუმცა უშედეგოდ. ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები ვცდილობთ პრაქტიკები თბილისში არსებულ სხვა გაზეთების რედაქციებშიც გავიაროთ, მაგრამ მიჩნდება კითხვა: რატომ არ უნდა გვქონდეს სტუდენტებს გაზეთი, სადაც სტატიებს გამოვაქვეყნებდით და პროფესიულ უნარ-ჩვევებს დავხვეწდით? მე შევეცდები ყველაფერი გავაკეთო, რათა სტუდენტებს გვქონდეს ჩვენი გაზეთი და ამას პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით უკეთ შევძლებთ,” — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ ძაგოევმა.

გვანცა ციცაგი

შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში საინტერესო სტუდენტურ პროექტებს ინტერესით ეკიდებიან და განსაკუთრებით მაშინ, თუ მათში მაქსიმალურად ბევრი სტუდენტია ჩართული. როგორც სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბრისას განაცხადეს, მათ ყოველ კვირა, დაახლოებით, 2 ან 3 ახალგაზრდა მაინც მიმართავს და საკუთარ იდეას აცნობს. ბუნებრივია, ყველა მათგანის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება, თუმცა უმრავლესობას პროექტების განხორციელებაში ეხმარებიან.

„საკმაოდ ბევრი სტუდენტი მოგვმართავს, ყველას ინიციატივა განსხვავებულია. იცით, რომ ჩვენთან ბევრი ახალგაზრდა სწავლობს. 6 ფაკულტეტია, თუმცა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები ნაკლებად აქტიურები არიან, რადგან, ძირითადად, კლინიკებში სწავლობენ. დანარჩენ ფაკულტეტებზე კი საკმაოდ ბევრი პროექტი კეთდება — ეს შეიძლება იყოს პოეზიის საღამო, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, კინო-ჩვენებების მოწყობა, საქველმოქმედო ღონისძიებები და ა.შ. თუ სტუდენტს უნდა, რომ რაიმე სახის ღონისძიება მოაწყოს, რაც სხვა სტუდენტებისთვისაც საინტერესო იქნება, მთავარია, ეს იდეა მოგვაწოდოს და შემდეგ მას ჩვენ დავეხმარებით“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე გვანცა ციცაგმა.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტების მიერ მიწოდებულ საინტერესო ინიციატივებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ უწევს ოპერატიულ ორგანიზებას, თუ პროექტი ფართო მასშტაბიანია და მათ ამის შესახებ ინფორმაცია შუა სემესტრში მიაწოდეს. ასეთი სახის პროექტების განსახორციელებლად ტენდერის გამოცხადებაა აუცილებელი და, შესაბამისად, მისი დაგეგმვა სემესტრის ან სასწავლო წლის დასაწყისშია საჭირო.

რა თქმა უნდა, სტუდენტური თვითმმართველობა მხოლოდ სტუდენტების მიერ მიწოდებული პროექტების განხორციელებით არ არის დაკავებული. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ არაერთი ღონისძიება ეწყობა, მათ შორის საკმაოდ მასშტაბურებიც, რომლებშიც ქართველი ახალგაზრდების გარდა, უცხოელი სტუდენტებიც მონაწილეობენ. იმისათვის, რომ ყველა პროექტები სტუდენტთა უმრავლესობისთვის მისაღები იყოს, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ახალგაზრდებს შორის სპეციალური გამოკითხვებიც ტარდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე სტუდენტური ასოციაცია თუ ორგანიზაცია მოქმედებს, რომელთა წარმომადგენლებიც სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად არაერთ გასართობი თუ შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს აწყობენ. მაგალითისთვის, ახლა იგეგმება ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის პროექტი, რომლის მიზანიც კონსტიტუციური სამართლის პოპულარიზაცია გახლავთ.

„ეს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციისა და სტუდენტურითვითმმართველობის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტია. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ექნებათ საშუალება გამოავლინონ ცოდნა კონსტიტუციურ სამართალში და დახვეწონ ორატორული უნარ-ჩვევები“, — გვითხრა ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა თორნიკე ჭეიშვილმა.

თსუ-ში ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხად რჩება არაქართულენოვანი სტუდენტების სტუდენტურ ცხოვრებაში მონაწილეობა. გასულ წელს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოუწოდეს მათ გააქტიურებულიყვნენ და მიეწოდებინათ ახალი იდეები, თუმცა განსაკუთრებული ინტერესი მათ არ გამოუჩენიათ.

„ვეცდებით, რომ ეს სტუდენტები გავააქტიუროთ და ჩვენ შევთავაზოთ ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. მომავალ სემესტრში ჩავატარებთ კონცერტს, რომელიც არაბულ კულტურას მიეძღვნება და სადაც არაბისტიკის მიმართულების ერთერთი სტუდენტი იმღერებს. იმედი გვაქვს, რომ ეს პროექტი არაქართულენოვანი სტუდენტების დაინტერესებასაც გამოიწვევს“, — განაცხადა გვანცა ციცაგმა.

ამ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაახლოებით, 33 000 სტუდენტი სწავლობს. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ერთერთი მთავარი მიზანი კი ისეთი სახის პროექტების განხორციელებაა, რომლებიც მაქსიმალურად ბევრი ახალგაზრდის ინტერესს დააკმაყოფილებს. სტუდენტურმა თვითმმართველობამ ზუსტად რომ უპასუხოს მოთხოვნებს, ამისათვის იმ ახალგაზრდების გააქტიურებაცაა საჭირო, რომლებსაც ახალი და საინტერესო ინიციატივები აქვთ.

უნივერსიტეტში

მოკლედ

საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1-2 დეკემბერს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ისტორიის თემატიკით დაინტერესებულმა პროფესორ-მასწავლებლებმა და დოქტორანტებმა, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ასევე სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და კვლევითი ცენტრებიდან. კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო — საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით.

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კონფერენციის სექციურ სხდომებს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, თსუ პროფესორები: თედო დუნდუა, მარიამ ჩხარტიშვილი და დიმიტრი შველიძე უძღვებოდნენ.

კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს: თსუ-ის ასისტენტ პროფესორის ქეთევან ქუთათელაძის (ლერწმის ქალი), თსუ-ის დოქტორანტის ნათია ფიფიას (ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო ბერძნულ-კოლხური ურთიერთობებისთვის), თსუ-ის მაგისტრის აკაკი ჩიქობავას (რამდენიმე სამუშაო თეზა ცხუმის საერისთავოს და „ცხუმური თეთრის“ შესახებ), თსუ-ის ასოცირებული პროფესორის დიმიტრი შველიძის (თეიმურაზ I-ის პრორუსული პოლიტიკა და მისი შედეგები), თსუ-ის პროფესორის მარიამ ჩხარტიშვილის (ე. რენანის „რა არის ერი“ და ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია XIX საუკუნეში), თსუ-ის დოქტორანტის ნატო სონღულაშვილის (ქართული სოციალური გარემო 1900-1921 წლებში), ისტორიის დოქტორის რუსუდან ლაბაძის (ცოდვილობის კულტურული ისტორიიდან. ცოდვის ტერიტორია), და სხვათა მოხსენებები. კონფერენციაზე მოხსენებების გარშემო დისკუსია გაიმართა. კონფერენციის მუშაობა დიმიტრი შველიძემ შეაჯამა და ვრცლად ისაუბრა ამგვარი ღონისძიებების მნიშვნელობაზე.

„შემოდგომის ლეგენდის“ ახალი სახე(ლ)ები

„გაეცანით ახალ სახეებს, დაიმახსოვრეთ ახალი სახელები, დააკვირდით ახალ ხელწერას, შესაძლოა ძალიან მალე მათ შესახებ კიდევ ბევრი რამ შეიტყოთ” — ეს მოწოდება 7 დეკემბერს, თსუ-ში გამართულ ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის დაჯილდოების ცერემონიაზე გაჟღერდა, რომელსაც თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და კომპანია „ჯეოსელის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონკურსი უკვე მესამე წელია იმართება. მას ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ისტორია აქვს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია.

„მოხარული ვარ, რომ კონკურსმა ტრადიციული სახე მიიღო და მასშტაბურად გაიზარდა. ეს იყო საკმაოდ კარგი იდეა, რომელმაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი სტუდენტებთან კომპანიის კომუნიკაციას. მართლაც კარგი საქმე კეთდება ახალგაზრდობის დაინტერესებისა და წარმოჩენისათვის,“ — განაცხადა „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ცქიტიშვილმა.

წლევანდელ კონკურსში თბილისში აკრედიტებული 9 უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლის 190 სტუდენტი მონაწილეობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოკალური კონკურსის მასშტაბების ზრდამ სტუდენტების მეტი ჩართულობა, ახალი ტალანტების აღმოჩენა და ნაშრომების მრავალფეროვნება გამოიწვია – მისი მიზანი ხომ ნიჭიერი თაობის აღმოჩენა, ახალბედა მწერლებისთვის ბიძგის მიცემა და სამწერლო ასპარეზზე გზის გაკვალვაა.

ლიტერატურული კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდა. I-მა ტურმა სტარტი სწავლის დაწყების დღეს აიღო და სამი კვირის განმავლობაში ტარდებოდა. ნაშრომებიდან შეირჩა 15 საუკეთესო, რომელთა ავტორებიც ლოპოტაზე გაემგზავრნენ და იმპროვიზაციულ ტურში მიიღეს მონაწილეობა. კონკურსანტებმა ჟიურის მიერ შერჩეული თემის — „პეპლის ეფექტის“ მიხედვით რვა საათის განმავლობაში შექმნეს ახალი ნაწარმოებები.

ლიტერატურულმა ჟიურიმ თანამედროვე ქართველი მწერლების შემადგენლობით: დავით ტურაშვილი, დავით ქართველიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი და თამთა მელაშვილი — გამოავლინა გამარჯვებული სამეული, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულადი პრემია — 1000, 700, 500 ლარის ოდენობით და კომპანია „ჯეოსელის” სპეციალური საჩუქრები გადაეცათ. I ადგილის პრიზიორმა კონკურსის მხარდამჭერის – დასასვენებელი კომპლექსის ,,ლოპოტა“-ს სპეციალური პრიზიც მიიღო.

მაკა ლდოკონელმა და თეონა დოლენჯაშვილმა კონკურსში გამარჯვებულ მოთხრობებს მაღალი შეფასება მისცეს და აღნიშნეს, რომ ეს ნაწარმოებები ნებისმიერი ლიტერატურული გამოცემის გვერდებს დაამშვენებდა. „ამ კონკურსის მთავარი შედეგი არ არის მხოლოდ კრებულის შექმნა და საპრიზო ადგილები, მთავარი შედეგია ის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ლიტერატურულ პერიოდიკაში ამ სტუდენტების მოთხრობებს აღმოვაჩენთ,“ — განაცხადა მაკა ლდოკონენმა.

„შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: კონკურსის მონაწილე ნინო ტეფნაძემ ,,შემოდგომის ლეგენდის” III ადგილი დაიმსახურა. გამარჯვებული ილიას უნივერსიტეტში სწავლობს.

ცეცხლი, მინა, წყალი და ჰაერი მაგდა ბატიაშვილისთვის შთაგონების წყაროდ იქცა და მოთხრობა „ოთხი სტიქია“ შემოგვთავაზა. მაგდა თსუ-ის სტუდენტია, რომელმაც II ადგილი დაიკავა.

სანამ პირველ ადგილოსანს გამოაცხადებდნენ, ჟიურის წევრმა თეონა დოლენჯაშვილმა „საპატიო მეოთხე ადგილზე“ გასული დაასახელა. „პეპლის აფექტი“ — ასე ჰქვია მოთხრობას, რომელიც გიორგი ბაიდაურმა შექმნა. რეჟისორული ტექსტის ავტორი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

* * *

„ალჩუ“ ეწოდება ნაწარმოებს, რომლის ავტორი იოანე ფეზუაშვილი ჟიურიმ ერთსულოვნად დაასახელა კონკურსის გამარჯვებულად და მას I ადგილი მიანიჭა. იოანე ფეზუაშვილი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.

* * *

„მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც კონკურსის იდეის განხორციელებაში მინიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. კონკურსის მიზანი ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენაა, ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ მომავალშიც ბევრ შემოქმედ ახალგაზრდას აღმოვაჩენთ, რომელთა დებიუტი წარმატებისკენ გადადგმული გაბედული ნაბიჯი იქნება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

დაჯილდოების საღამოზე კონკურსის იმპროვიზაციული ტურის ფოტოგამოფენა და 2011 წლის იმ ლიტერატურული ბროშურის პრეზენტაციაც გაიმართა, რომელშიც 2011 წლის 7 საუკეთესო მოთხრობა შევიდა. „შემოდგომის ლეგენდა 2011” დასრულდა, მზადება ახალი სახელების აღმოჩენისთვის კი მალე დაიწყება...

საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი ათლეტები

3 დეკემბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ათლეტიზმში სახელწოდებით: „საქართველოს ღია ჩემპიონატი შტანგის აჭიმვასა და ამოწევაში“. შეჯიბრში საქართველოს გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ირანისა და ერაყის სპორტსმენებიც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ტურნირზე სრული შემადგენლობით იყო მიწვეული: 15 ათლეტი შტანგის აჭიმვაში, 15 ათლეტი შტანგის ამოწევაში.

ტურნირზე წარმატებით იასპარეზა თსუ-ის გუნდის 9 წარმომადგენელმა და მათ I ადგილი დაიკავეს. II გუნდური ადგილი ქუთაისის გუნდს „იმერეთს“ ერგო, ხოლო III საპრიზო ადგილი ირანის ეროვნულმა ნაკრებმა და საქართველოს შსს-ს გუნდმა გაინაწილეს.

აღსანიშნავია ის, რომ ტურნირში მონაწილე თსუ-ის ათლეტიზმის გუნდის ყველა წევრი ტურნირის პრიზიორი გახდა: II ადგილზე გავიდა გუნდის 11 მონაწილე, ხოლო III ადგილი წილად ხვდა 10 სპორტსმენს.

შემდეგი საერთაშორისო ტურნირი ათლეტიზმში 19-20 მაისს გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებიც მიიღებენ.

მასალები მოამზადა **თამარ დადიანმა**

რატომ „გადაირჩია“ დიმიტრი უზნაძემ ფილოსოფია?

დიმიტრი უზნაძე ცნობილია როგორც უდიდესი ფსიქოლოგი და „განწყობის თეორიის“ შემქმნელი, როგორც ფილოსოფოსს კი ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოება, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ მის ფილოსოფიურ ესეებსა და ნაშრომებში იმთავითვე ჩანდა მისი დაინტერესება ფსიქოლოგიით, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა კიდეც მისი მომავალი საქმიანობა. მაგრამ, იგი სამართლიანად ითვლება არა მხოლოდ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის, არამედ ფილოსოფიური სკოლის ერთერთ ფუძემდებლადაც.

შურთხია ბეროშვილი

დიმიტრი უზნაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფილოსოფიური აზრის გაღრმავება-განვითარებაში. იგი სერიოზული ფილოსოფოსი იყო. მისი შემოქმედება ამ სფეროში მოიცავს როგორც ფოლოსოფიის ისტორიას (მონოგრაფიები სოლოვიოვისა და ბერგსონის ფილოსოფიური სისტემების შესახებ), ისე აქტუალურ ფილოსოფიურ პრობლემატიკას: სიკვდილი და უკვდავება, ომი და ცხოვრების რაობა, პირადი ბედნიერება და ერისა თუ კულტურის სამსახური, ადამიანის ინდივიდუალობა და შემეცნების თავისებურება — აი, იმ თემების არასრული ჩამონათვალი, რომელთაც უზნაძე ამუშავებდა. უზნაძის ფილოსოფიურ თხზულებებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა და აქტუალობა.

როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, მისი ფილოსოფიით დაინტერესება, გარკვეულწილად, განსაზღვრა მისმა შინაგანმა ხასიათმა და მოვლენების ღრმად შემეცნების სურვილმა. 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის გიმნაზიის მერვე კლასიდან გარიცხული დიმიტრი უზნაძე იმავე წელს ლაიფციგის უნივერსიტეტში, ფილოსოფიურ ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. უნივერსიტეტში გატარებული წლები მისი, როგორც ფილოსოფოსად მოაზროვნე პიროვნების მომწიფების ხანაა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა: „ცხოვრება, როგორც მარადიული სისრულისკენ სწრაფვა“, „შემოქმედება – როგორც სოციალური ღირებულების რეალიზაცია“ — ეს იყო მისი ფილოსოფიური ძიების ძირითადი საგანი. აღსანიშნავია, რომ მან, როგორც ფილოსოფოსმა, პირველ წარმატებას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიაღწია. 1907 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ლეიბნიცის ფილოსოფიისადმი მიძღვნილ ნაშრომში მას პრემია მიანიჭა. 1909 წელს ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში (გერმანია) დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: ,,ვლადიმერ სოლოვიოვი – მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა”. ნაშრომი ეძღვნებოდა სოლოვიოვის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და წარმოადგენდა ამ საკითხზე დაცულ პირველ სადისერტაციო ნაშრომს.

დიმიტრი უზნაძეს, როგორც ფილოსოფოსს, ყველაზე მეტად ადამიანის პიროვნება და სიცოცხლის პრობლემატიკა აინტერესებდა, რაც მის შრომებშიც აისახა. მისი მონოგრაფიები: „რა არის შემეცნების თეორია?“, „ომის ფილოსოფია“ და განსაკუთრებით მონოგრაფიული გამოკვლევა – „ანრი ბერგსონი “ უახლესი დროის ქართული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი შენაძენია. დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის, აგრეთვე, გამოკვლევები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირის მოტივები“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“ და სხვა. ეს ყოველივე, ფაქტობრივად, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ფილოსოფიური პოზიციიდან განხილვის ერთერთ პირველ და წარმატებულ ცდას წარმოადგენდა.

ორი ფილოსოფოსის განსჯა

აკაკი ყულიჯანაშვილი,
თსუ-ის ფილოსოფიის მიმართულების პროფესორი:

— დიმიტრი უზნაძემ უმაღლესი განათლება ლაიფციგის უნივერსიტეტში მიიღო, მაგრამ დისერტაცია ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა, რადგან იმ პერიოდში ლაიფციგის უნივერსიტეტში რუსული ფილოსოფიის სპეციალისტები არ იყვნენ. მისი ინტერესების სფერო განუზომლად ფართო და მასშტაბური იყო. დისერტაციაში „ვლადიმერ სოლოვიოვი“ მას დაწვრილებით აქვს განხილული არა მარტო ვლადიმერ სოლოვიოვის, არამედ იმ დროის გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის მოძღვრება და ზოგადად ეხება რუსულ ფილოსოფიურ ტენდენციებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ამ ნაშრომისა, ფილოსოფიაში მას სხვა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი შრომები აქვს შექმნილი, მათ შორის გამორჩეულია ფრანგი ფილოსოფოსის — ბერგსონისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, სადაც უკვე იკვეთება მისი დაინტერესება ფსიქოლოგიით. ამ წიგნში საკმაოდ კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება განწყობის თეორიასთან მიმართებაში. დიმიტრი უზნაძე ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაზე თავის ფილოსოფიურ ნაშრომებშიც საუბრობს.

ამ მხრივ ძალიან საინტერესო შრომაა „ომის ფილოსოფია“, რომელიც მან 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს დაწერა. თუ ვინმეს უნდა ქართველი კაცის აზროვნების ორიგინალობა და მისი ომისადმი დამოკიდებულება დაინახოს, ეს ნაშრომი უნდა წაიკითხოს. უზნაძე ომის ფენომენზე ფილოსოფიური ასპექტით საუბრობს და კონკრეტულად ომის პერიპეტიებს არ ეხება. მეცნიერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ომი კაცობრიობის ისტორიაში, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ კულტურის მატარებელ ხალხს ომისადმი და ა.შ. იგი ომს განიხილავს, როგორც ფილოსოფიურ ფენომენს, თუმცა კარგად ჩანს ფსიქოლოგიური მომენტები.

— მიუხედავად ფილოსოფიაში წარმატებული მოღვაწეობისა, მან საბოლოოდ ფსიქოლოგია აირჩია, რა იყო ამის მიზეზი?

— მას შემდეგ, რაც საქართველოში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მარქსიზმმა, დიმიტრი უზნაძესთვის ცხადი გახდა, რომ ფილოსოფიურ კვლევებს თავისუფლად ველარ გააგრძელებდა. ამ დარგში დამოუკიდებელი მოღვაწეობა გარკვეულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, თუკი იგი მარქსისტულ პოზიციებზე არ გადავიდოდა. ამიტომ მან სასწრაფოდ დაანება თავი ფილოსოფიას და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ დიმიტრი უზნაძეს არც ერთი ფილოსოფიური შრომა არ დაუწერია. ამასთან დაკავშირებით ერთი ძველი ამბავი შემიძლია გავიხსენო: როგორც ცნობილია, ბატონმა შალვა ნუცუბიძემ დაწერა ფილოსოფიური ნაშრომი — „ალეთოლოგიური რეალიზმი“, მაგრამ მასზე მუშაობას აღარ აგრძელებდა კომუნისტური რეჟიმის გამო. ერთხელ დიმიტრი უზნაძემ მას უთხრა: — შალვა, მენანება შენი თეორია და იქნებ როგორმე გააგრძელო მუშაობაო. შალვამ უპასუხა: — გავაგრძელებდი, მაგრამ მეშინია, ზემდგომმა „მეგობრებმა“ არ დამიწუნონო. დიმიტრი უზნაძემ კი მიუგო: — შენ მაინც გააგრძელე და ქვევრში ჩადე, შემდეგში მომავალი თაობები ნახავენ და იამაყებენო. შალვა ნუცუბიძემ მაინც დაუბრუნა პასუხი: — მე კი ჩავდებ ქვევრში, მაგრამ KГБ იქაც იპოვის და მერე რა ვქნაო...

ეს ამბავი კარგად ასახავს იმდროინდელი რეჟიმის სისასტიკეს და გასაკვირი არ არის, რომ დიმიტრი უზნაძემ სხვა გზა აირჩია.

კომუნისტებისთვის მიუღებელი იყო განწყობაზე საუბარი

ირაკლი ბრაჭული,
თსუ-ის ფილოსოფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი:

— დიმიტრი უზნაძე მეცნიერებაში მოვიდა როგორც ფილოსოფოსი და აღსანიშნავია, რომ იგი, თავდაპირველად, რელიგიური ფილოსოფიით იყო დაინტერესებული. თუმცა, იმავე პერიოდში, დიმიტრი უზნაძე

ასევე ეძებდა ადამიანური ყოფიერების სპეციფიკურ საწყისს. იმდროინდელი ეპოქალური სიტუაციიდან გამომდინარე, კვლევა-ძიება მიმართული იყო იქეთკენ, რომ დაძლეულიყო ტექნიკურ მეცნიერებათა უკონკურენციო ბატონობა. იგი ჰუმანიტარული მეცნიერებების ახალ მეთოდოლოგიებს ეძებდა. სწორედ ამ ძიებით იყო განპირობებული მისი პირველი ფილოსოფიური ინტერესები.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიიდან ფსიქოლოგიაში გადასვლა შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ საკითხავია, განწყობა, რომლის შესახებ დიმიტრი უზნაძემ თეორია შექმნა, წმინდა ფილოსოფიური კატეგორიაა თუ წმინდა ექსპერიმენტულ-მეცნიერული.

— რატომ ვერ ჰპოვა ამ ცნებამ ფილოსოფიური განვითარება დიმიტრი უზნაძის შრომებში?

— იმიტომ, რომ იმდროინდელი ცენზურის პირობებში პერსონის ცენტრალურ ფიგურად „გამოტანა“ სახიფათო იყო, რადგან კომუნისტების ინკვიზიციური რეჟიმი ამას პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა. კომუნისტებისთვის მიუღებელი იყო განწყობაზე საუბარი — ისინი ვერაფრით ვერ იგებდნენ, რომ თუ განწყობა არც სუბიექტურია და არც ობიექტური, მაშინ რა არის ის მესამე? — ასეთი წიაღსვლები შეიძლება იდეალიზმისკენ სწრაფვის ბრალდებით დამთავრებულიყო, ამის საშუალებას კი უზნაძეს არ მისცემდნენ და ამიტომ შეიცვალა პროფესია, აირჩია ფსიქოლოგია — ექსპერიმენტული და ემპირიული მიმართულება.

იდეა

დემურ ჯალაღონია,
თსუ-ის ფილოსოფიის მიმართულების პროფესორი:

— ჩემი აზრით, მომავალში მნიშვნელოვანია დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ ფილოსოფურად კვლევა. სხვათაშორის, ანგია ბოჭორიშვილმა ერთხელ უკვე სცადა, რომ ეს პრობლემა ანთროპოლოგიური კუთხით განეხილა. რაზეც ახლა ჩვენ ზოგადად ვსაუბრობთ, ამას სერიოზული ახსნა სჭირდება — თუ როგორ მივიდა ეს დიდი მოაზროვნე ამ პრობლემასთან.

ფსიქოლოგთა ყველა თაობისთვის აღიარებული მეცნიერი

მეექვსე გვერდიდან

ქეთი მჭედლიშვილი,
ფსიქოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი:

— ერთი წლის განმავლობაში ვსწავლობდი განწყობის ფსიქოლოგიას და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლექციებს ბატონი ვახტანგ ნადარეიშვილი მიკითხავდა და მისი დიდი დამსახურებაა, რომ ამ საკითხით დავინტერესდი. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ დიმიტრი უზნაძე საკმაოდ რთული ქართულით წერს, რაც სტუდენტებისთვის ადვილად გასაგები არ გახლავთ. მე შემხვედრია უზნაძის შრომებში გარკვეული ფრაზები და პატარა პარაგრაფები არაცნობიერზე, მოტივაციაზე, რომლებიც კვლავ საჭიროებენ კვლევას.

დიმიტრი ჩუბინიძე,
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი:

— დიმიტრი უზნაძე უდიდესი მეცნიერი გახლდათ, იყო კარგი ისტორიკოსი და ფილოსოფოსიც. სამწუხაროა, რომ საზოგადოება მის ფილოსოფიურ შრომებს ნაკლებად იცნობს. დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია კი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის უდიდესი მონაპოვარია. ეს გახლავთ ზოგადფსიქოლოგიური თეორია და ასეთი ერთეულებია. მას პრეტენზია აქვს ახსნას თითქმის ყველა ფსიქოლოგიური მოვლენა. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის პროგრამის პრიორიტეტიც არის ის, რომ შესაძლებელია განწყობის თეორიის ადაპტირება ფსიქოანთროპოლოგიურ თეორიაში. ვფიქრობ, ამ მხრივ მუშაობა ძალიან საინტერესო იქნება. სამაგისტრო ნაშრომსაც ამ თემაზე მოვამზადებ.

ირინა ვარდანაშვილი,
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრანტი:

— განწყობის თეორია ძალიან საინტერესო თეორიაა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მეცნიერის მიერ შექმნილი თეორია სხვა დიდი ფსიქოლოგების ნაშრომების გვერდით დგას. მე არ ვაღიარებ განწყობის თეორიას, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, თუმცა ვეთანხმები, რომ განწყობა აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად და ადამიანის ხასიათსაც განსაზღვრავს.

ქართული პედაგოგიკის ერთერთი შემოქმედი

დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკის საკითხებზე 1909-1916 წლებში მუშაობდა და ამ მიმართულებით მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა. მან პედაგოგიკის არსის გაგება უშულოდ თავისი ძირითადი მსოფლმხედველობის ასპექტში მოაქცია. მისი შრომები არათუ გადმოგვცემენ მეცნიერებში მოპოვებულ მიღწევებს, არამედ საკუთარ პედაგოგიურ კონცეფციასაც ავლენენ.

უზნაძემ წარმოადგინა შეხედულებათა მთლიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიკის, ისე ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. 1910-1916 წლებში უზნაძე აქვეყნებს წერილების სერიას თეორიულ პედაგოგიკაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია წიგნი „შესავალი ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში", რომელმაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო საქართველოში ორ ახალ დისციპლინას — ექსპერიმენტულ პედაგოგიკას და ბავშვის ფსიქოლოგიას.

დიმიტრი უზნაძე პედაგოგიკას ორად ჰყოფს: თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიკად. ისინი, მისი აზრით, ერთი მთლიანობის ორი ურთიერთდაკავშირებული ჯაჭვია და ისეა მოწყობილი, რომ თეორიულად მოპოვებული ყოველი დებულება აღზრდის პრაქტიკაში გადაიტანოს. უზნაძის კვლევის საგანი იყო აღზრდის საგანი — ბავშვი და მისი ფსიქოლოგია, აღზრდის მიზანი, გარემო და აღზრდა, აღზრდის ძირითადი პრინციპები, ნებისყოფის ადგილი და მნიშვნელობა პედაგოგიკაში, პედაგოგიური პროცესის ბუნება და მასწავლებლის პიროვნება. მისი აზრით, ბავშვი ინდივიდია და მისადმი ასევე ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო.

ირაკლი იმედაძე,
საქართველოს მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

— თუ თეორიულ პედაგოგიკაზე ვისაუბრებთ, უზნაძე აქაც თავისი პრინციპიდან, მთლიანობიდან ამოდის, რადგანაც მთლიანპიროვნებისეულობა მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი იყო. ეს მოსაზრება მოგვიანებით გამომჟღავნდა განწყობის ფსიქოლოგიაში და პედაგოგიკაშიც ამას ამტკიცებდა — ცალკე აზროვნება, მეტყველება, ემოცია და ცალკე ნებელობის განვითარება არ გამოვა, მთლიანობიდან უნდა ამოვიდეთ, ყველაფერი კომპლექსურად უნდა გავითვალისწინოთო. უზნაძის აზრით, სასწავლო პროგრამები სკოლის წინარე ასაკში და სკოლაში ისეთნაირად უნდა იყოს აგებული, რომ ბავშვს იმ ფუნქციის შესაბამისი მასალა მიეწოდოს, რომელი ფუნქციებიც იმ ასაკში მწიფდება. ადამიანის ფსიქიკა არაერთგვაროვნად ვითარდება, ზოგ ასაკში ბავშვს ჯერ ბოტოლური სფერო უვითარდება, შემდეგ იწყება გრძნობების განვითარება, შემდეგ — მეხსიერების, აზროვნების, მეტყველების და ა.შ. ყველაფერ ამას უნდა შევუფარდოთ სასწავლო მასალა. დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი შეიძლება ტრივიალურად გეჩვენებოდეთ, რადგან ყველა პედაგოგი ამას ამბობს, მაგრამ ასე დალაგებულად, გარკვევით და კონცეფციის სახით, როგორც ეს უზნაძემ მოგვაწოდა, იმ დროს ბევრს არ ჰქონდა გააზრებული. ასე რომ, ამ მხრივ უზნაძე ნოვატორი იყო.

გარდა ამისა, დიმიტრი უზნაძეს ჩამოყალიბებული ჰქონდა აქტიურობის პრინციპი. ანგარიში, რომელიც მან „სინათლის" სკოლის მუშაობის შესახებ წარადგინა, ბრწყინვალე პედაგოგიური ნაშრომია. მაგალითად, საკითხი — დაიწეროს თუ არა ნიშანი? ახლაც კი პრობლემატურია. უზნაძე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ბავშვის დაწყებით ეტაპზე შეფასებას. ამბობდა, რომ დასაწყისში არ შეიძლება ნიშნების წერაო.

კიდევ ერთი საგულისხმო საკითხი — უნდა ისწავლებოდეს თუ არა რელიგია სკოლაში? უზნაძე ამასაც ეწინააღმდეგებოდა და ამბობდა, რომ სკოლაში რელიგიის სწავლება არ არის მიზანშეწონილი.

ნათელა იმედაძე,
პროფესორ-ემერიტუსი, ფსიქოლოგი:

— დიმიტრი უზნაძე, როგორც პედაგოგი, ორ ასპექტს მოიცავს, უზნაძე, როგორც თეორეტიკოსი და როგორც პრაქტიკოსი პედაგოგი. მან გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ პედაგოგად იმუშავა და ამ პერიოდში აქვეყნებდა წერილების სერიას აღზრდის შესახებ, სადაც მნიშვნელოვანი აზრი აქვს გამოთქმული ექსპერიმენტული პედაგოგიკის თაობაზე.

თავისი მოღვაწეობის მომდევნო პერიოდში უზნაძემ დაწერა ორი მეტად მნიშვნელოვანი სტატია. ერთი იყო „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა" და მეორე არაჩვეულებრივად საინტერესო სტატია — „აღზრდის ტრაგედია". მასში უზნაძე იხილავს აღზრდას, როგორც პროცესს, სწრაფვას სრულყოფისაკენ. იგი თავიდან აღნიშნავს, რომ მასწავლებელი და აღმზრდელი სოციალური მიზნებით არის მოტივირებული და განწყობილი, ბავშვის განვითარებას კი აქვს თავისი განსხვავებული კანონზომიერება: ეს არის ფუნქციების მოთხოვნილება, რაც განვითარების პროცესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ხშირად ის მიზნები, რაც მასწავლებელს აქვს და ის მიზნები, რაც ბავშვს აქვს, ანუ დაიკმაყოფილოს თავისი ფუნქციების მოთხოვნილება, ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. აქედან იწყება აღზრდის ტრაგიკული მომენტი. უზნაძის აზრით, ერთადერთი გამოსავალი აქედან არის ის, რომ მასწვლებელმა სრულყოფილად იცოდეს ბავშვის განვითარების ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურება, უნდა წვდებოდეს ბავშვის შინაგან სამყაროს, მის მისწრაფებებს, უნდა ჰქონდეს ემპათიური თანაგანცდის გრძნობა და ამის გათვალისწინებით შეიძლება ამ ტრაგიკული ვითარების გაბათილება.

უზნაძის იდეებში პედაგოგიკის შესახებ ყველგან არის ხაზგასმული მოსწავლის აქტივობის მომენტი, ის, რასაც თანამედროვე პადაგოგიკა მიიჩნევს აღზრდის აუცილებელ ატრიბუტად. მისი აზრით, მარტო მასწავლებელი კი არ უნდა იყოს აქტიური, არამედ, მოსწავლეც.

დიმიტრი უზნაძის კიდევ ერთი იდეა ასეთი გახლავთ — აღზრდის პროცესში ცალ-ცალკე არ უნდა არსებობდეს მორალური, ესთეტიკური და ინტელექტუალური აღზრდა. აღზრდა უნდა ხდებოდეს კომპლექსურად მთლიანი პიროვნებისა.

უზნაძის იდეები დღესაც არაჩვეულებრივად აქტუალურია და შეესაბამება თანამედროვე პროგრესულ თეორიულ მიდგომებს პედაგოგიკაში.

მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორი

მსოფლიო ისტორიის პირველი სახელმძღვანელო ქართულად რომ სწორედ დიმიტრი უზნაძემ შექმნა, ამის შესახებ თანამედროვე ისტორიკოსებმაც ყურმოკვრით იციან. ჩვენი დიდი მცდელობის შემდეგ ამ მცირე მოცულობის წიგნს უნივერსიტეტის პროფესორის, ფსიქოლოგ დალი ფარჯანაძის პირად ბიბლიოთეკაში მივაგენით. სახელმძღვანელოს შექმნის ისტორიაზე არც თუ ბევრი ინფორმაცია არსებობს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ალბათ, ნიშანდობლივი იმაზე ხაზგასმაა, თუ როგორ ზრუნავდა დიდი მეცნიერი საქართველოს სკოლებში ისტორიის მშობლიურ ენაზე სწავლებისთვის და რა როლს აკუთვნებდა იგი, ზოგადად, სკოლას ქართული საზოგადოების განვითარებაში.

შურთხია ბეროშვილი

„სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს. მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას", — წერდა პროგრესულად მოაზროვნე დიმიტრი უზნაძე 1917 წელს.

როგორც ცნობილია, დიმიტრი უზნაძე 1909-1917 წლებში უაღრესად ნაყოფიერ პედაგოგიურ-საზოგადოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისში. დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ხოლო ფსიქოლოგიასა და ლოგიკას ეპარქიულ სასწავლებელში. 1915 წელს, პირველად საქართველოში, მისი ინიციატივით დაარსდა ქალთა ქართული სკოლა - „სინათლე", რომლის დირექტორადაც თავად დაინიშნა. ამ პერიოდში მან მრავალი წერილი გამოაქვეყნა ესთეტიკის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკითხებზე. 1916 წელს კი მან ქუთაისში გამოსცა მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო, რომელიც ხელმეორედ 1917 წელს დაიბეჭდა.

სახელმძღვანელოს შექმნის ისტორიის შესახებ ავტორის წინასიტყვაობა გვამცნობს, სადაც დიმიტრი უზნაძე წერს:

„ჩვენი შკოლის ცხოვრებაში 1914 წლის 1 ივნისის კანონმა ძირითადი ცვლილება გამოიწვია. თუ დღემდი სამშობლო ენაზე სწავლების წარმოება მარტო ჩვენი სურვილების ფარგლებში იყო მოქცეული, დღეს იგი რეალური ცხოვრების ფაკტად გადაიქცა და ჩვენს მომავალ ეროვნულ აღზრდის სისტემას ქვაკუთხედად დაედვა. ახალ ფაკტს სავსებით მომზადებულები ვერ შევხვდით, მაგრამ ეს მოუმზადებლობა არ არის ძირითადი ხასიათისა. ჩემი აზროვნება და ჩვენი ენა — ორივე მწიფეა იმისთვის, რომ ეროვნული აღზრდის სისტემის სიმძიმე ადვილად აიტანოს. მაგრამ თვით ქართველ პედაგოგებს იშვიათად უცდიათ — ეს მომწიფებული იარაღები ხელში მოემარჯვებინათ და ეროვნული შკოლის შენობის აგებაზე მუშაობა დაეწყოთ. იარაღები მზად იყო, იგინი მუშას უცდიდნენ, ხოლო თვით მუშა ძილს მისცემოდა, და ეს იმიტომ, რომ ის ფიქრობდა: — რა საჭიროა ეროვნული აღზრდის იარაღების ხმარება, როდესაც მათი საშვალებით აგებული შენობა დასრულების უმალვე უნდა დაირღვესო!

დღეს ეს შიში აღარა გვაქვს, და ჩვენი ვალია, უქმად მიტოვებულ იარაღებს ხელი მოვკიდოთ და, რაც დრო დაგვიკარგავს, ის დაუღალავი შრომით მაინც გამოვისყიდოთ.

რა თქმა უნდა, ჩვენი დაუღალავი შრომა ვერ იქნება დამშვიდებული. ეს ფსიქოლოგიურად შეუძლებელია. იგი არსებითად აჩქარებული იქნება. და თუ ჩვენს ნაშრომებში ხშირი იქნება ადვილად შესამჩნევი ნაკლი დაუხელოვანებელი მუშაკისა, ეს ჩვენი კულტურის კი არა, თვით მუშაკის ბრალი იქნება, რომელიც ეროვნული სიმდიდრის ხმარებაში ჯერ კიდევ ვერ დახელოვნებულა.

კერძოდ, არც ჩემი ნაშრომია დადინჯებულისა და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით შეიძლება ნაადრევი და უდროოდ მომწიფებული აღმოჩნდეს. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ შრომის პირველ გამოცემას, რომელიც ძალიან მცირერიცოვანი იბეჭდება, მეორე მოყვება, და ამ დროსთვის კი პრაკტიკისა და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით ჩემი ნაშრომი უკვე მომწიფებულსა და დასრულებულ ნაწარმოების სახეს მიიღებს.

თვით გამოცემას, უეჭველია, მრავალი ნაკლი ექნება, მაგრამ დღევანდელ პირობებში და ისიც ჩვენთვის, უკეთესი გამოცემის დამზადება შეუძლებელი იყო.

დასასრულ, სიამოვნებით ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მადლობით მოვიხსენიო ჩვენი სახელმძღვანელოს გამომცემელი, რომელმაც ასეთს გაჭირვებულ დროს არც შრომა დაიშურა და არც საშვალება და ამ ნაშრომის გამოქვეყნების შეძლება მოგვცა. ქუთაისი, 10 სკტ. 1916 წ. "



თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა.

დ. უ ზ ნ ა ძ ე

ძველი
აღმოსავლეთი
და
პირველყოფილი კულტურა
მსოფლიო ისტორია
ნაწილი პირველი

მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა

ქ უ თ ა ი ს ი.
ფერაძისა და ამხანაგობის სტამბა
1917

როგორც ჩანს, სახელმძღვანელოს გამოცემას პოზიტიურად შეხვდა ქუთაისის საზოგადოება და თავად მოსწავლეებიც. ამის დასტურად შეიძლება ის ფაქტი მივიჩნიოთ, რომ წიგნი მომდენო წელსაც, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით გამოიცა. მეორე გამოცემის წინასიტყვაობიდან ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ შეიცვალა სიტუაცია საქართველოში.

„ჩვენი სახელმძღვანელოს გამოცემის დღიდან ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ ახალი გამოცემის დამზადება გახდა საჭირო. ეს იშვიათი მოვლენაა ჩვენი მწერლობის ისტორიაში, მაგრამ, სამაგიეროდ, კიდევ უფრო იშვიათია ის ხანა, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით. ამ ერთი წლის განმავლობაში მთელი რუსეთის ცხოვრება, ძირითადად, გამოიცვალა; გამოიცვალა ჩვენი ცხოვრების პირობებიც: რასაც ამდენი ხანი ვესწრაფოდით, სინამდვილედ იქცა: ჩვენი შკოლა სრული გაეროვნულების გზას დაადგა და ოფიციალურ სწავლების ენად სასწავლებლებშიც კი ქართული ენა შეიქმნა. რა თქმა უნდა, ამ პირობებში მოთხოვნილებაც დიდი იქნებოდა ისეთ სახემძღვანელოზე, როგორიც ჩვენი წიგნია, ამ მოთხოვნილების მიხედვით მისი ღირსებაც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ ჩვენი ძალა და დრო სულ სხვა მხრით მიმართა. მან წაგვართვა საშვალება საკაბინეტო დამშვიდებული მუშაობისა, და ამით აიხსნე-

მე-13 გვერდზე

უზნაძის თეორიას პოპულარიზაცია აკლია

უზნაძის განწყობის თეორიას საზოგადოება სხვადასხვა ინტერპრეტაციით ხშირად ახსენებს და, ზოგჯერ, უადგილოდაც. საკუთარ განწყობილებებზე საუბრის დროს ზოგიერთს გაუცნობიერებლადაც კი ჰგონია, რომ უზნაძის თეორიას ,,გადმოსცემს". არადა, ამ სახელწოდების პირდაპირი მნიშვნელობით გაგება არამართებულია, რადგან იგი წმინდა მეცნიერულ ახსნას ექვემდებარება. უზნაძემ ვერ მოასწრო საკუთარი თეორიის ისე განვრცობა, რომ უფრო მეტი ადგილი დაეთმო პრაქტიკისთვის. მოგვიანებით, უზნაძის სკოლის მიმდევრებმა მეტი ყურადღება სწორედ პრაქტიკებს მიაქციეს. ასე რომ, უზნაძის თეორიის განვითარების რამოდენიმე რაუნდი შესრულდა, თუმცა ამ მიმართულებით გამოთქმული სხვადასხვა თვალსაზრისი ითვლება თუ არა უზნაძის თეორიის ორგანულ ნაწილად, ეს კამათის საგანია. ყოველივე ამის შესახებ გვესაუბრება ფსიქოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე, *რომელსაც მუდმივად აქვს შეხება საზოგადოებრივ აზრთან, სტუდენტებს უკითხავს ლექციებს განწყობის ფსიქოლოგიაში და კარგად იცის ამ თეორიის აკადემიური და პრაქტიკული პოტენციალი.*

ნინო კაკულია



თემის რესპონდენტი
რამაზ საყვარელიძე

— *ბატონო რამაზ, საინტერესოა, სად და რა შემთხვევაში იყენებენ დღეს უზნაძის განწყობის თეორიას?*

— განწყობის თეორია ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა ფსიქოდიაგნოსტიკაში. გარდა თეორიული მონახაზისა, უზნაძეს აქვს ექსპერიმენტული მეთოდი, რომლითაც განწყობას იკვლევდა. ამ მეთოდით მიღებულ შედეგს XX საუკუნის ერთერთმა წამყვანმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ ,,უზნაძის ეფექტი" უწოდა. რაში მდგომარეობდა მისი ეფექტი? ეს ექსპერიმენტი ზომავდა, თუ რამდენად უჭირს ადამიანს ცვლილება გარემოს შეცვლის პირობებში, ანუ როგორც უზნაძე სვამდა საკითხს: რამდენად სტატიკურია ადამიანი ან რამდენად დინამიკური? ამავე დროს, შეიძლება ადამიანის ფსიქიკის ცვლამ გაუსწროს გარემოსას (ამას უზნაძემ ვარიაბელური ტიპი დაარქვა). ეს ყოველივე შეიძლება დადგინდეს მარტივი ექსპერიმენტული მეთოდით — ბურთების თუ წრეების გამოყენებით.

პიროვნების ხასიათის კვლევის ეს მეთოდი ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა. დადგინდა, რომ ფსიქიკურ, და არა მხოლოდ ფსიქიკურ, დაავადებათა შემთხვევებში უმეტესად სტატიკური ტიპი ჭარბობს, ანუ საუბარია იმ ფსიქიკურ ტიპზე, რომელიც გარემოს ცვლილებას ფეხს ვერ უწყობს და გარემოსაგან ასეთი ჩამორჩენა დაავადებებთანაა კავშირში.

— *„განწყობის თეორიას" პირდაპირი მნიშვნელობით იყენებენ თუ არა პოლიტიკოსები, როდესაც მათდამი საზოგადოების დადებითი განწყობის შესაქმნელად იღწვიან?*

— რაღაც თვალსაზრისით იყენებენ, მაგრამ, უზნაძის აღებული ტერმინი — განწყობა — ამავე დროს ჩვენი ბუნებრივი ენის ცნებაც არის. ბუნებრივი ენის ცნება უფრო იმასთან არის ახლოს, რასაც შოთა ნადირაშვილი ამბობდა, ანუ დადებით და უარყოფით სოციალურ დამოკიდებულებასთან. უზნაძისეული ცნება უფრო ახლოსაა ისეთ მოვლენასთან, რომელსაც ქართული ენა განწყობილებას უწოდებს. ამიტომ უზნაძე ერთერთ ფრაგმენტში წერდა, რომ განწყობა ყველაზე ახლოს, ცნობილი მოვლენებიდან, არის ემოციებთან. დადებითი და უარყოფითი განწყობაც ემოციას გულისხმობს, ოღონდ განწყობილებას მეტი აქცენტი აქვს ადამიანის შიდა მდგომარეობაზე, ხოლო დადებით და უარყოფით განწყობას უფრო იმ მიმართულებაზე, რაც ერთ ადამიანს აქვს მეორე ადამიანთან ან მოვლენასთან მიმართებაში.

შინაგანი მდგომარეობა, როგორც განწყობა, უფრო ასახავს უზნაძის ტერმინს; ხოლო დამოკიდებულება, როგორც განწყობა — უფრო მოგვიანო ვერსიას, რაც სოციალური ფსიქოლოგიიდან შემოვიდა. ეს ორივე ვერსია ბოლომდე ერთმანეთს

თუ შეიცვლება დამოკიდებულება მეცნიერებისა და განწყობის ფსიქოლოგიის მიმართ და მას არსებობის პირობები შეექმნა, ახალგაზრდა თაობაში მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ფუნდამენტალური საკითხებით დაინტერესდებიან და განწყობის ფსიქოლოგიის მსოფლიოში სათანადოდ პოპულარიზაციასაც შეძლებენ.

არ ფარავს. მე შეიძლება არ მომწონდეს ადამიანი, ოღონდ მასთან კონტაქტი ცუდად არ მხდიდეს, ასევე, შეიძლება ისე არ მომწონდეს, რომ მასთან ყოფნისას ცუდად გავხდე. ამდენად, პირველი ვარიანტი უფრო სოციალური განწყობაა, მეორე კი განწყობის ის ვერსია, რომელიც ემოციასთან და შიდა მდგომარეობასთან არის ახლოს.

— *ანუ, თუ მინდა ადამიანს რამე გაკეთებინო, იგი უნდა განვაწყო ჩემდამი კარგად?*

— თქვენ თუ გინდათ, ადამიანს ბევრი რამ გააკეთებინოთ, ამ შემთხვევაში შემოდის კანონზომიერების მთელი წყება და სწორედ ეს იკვლია შოთა ნადირაშვილმა ინტენსიურად. ამ კანონზომიერებებიდან ერთერთია ის, რომ ადამიანი თქვენ მიმართ კარგად უნდა განაწყოთ. თუ ის კარგად იქნება განწყობილი, ჩათვლის, რომ თვითონაც კარგია, რადგანაც ასეთი კარგი ადამიანის თხოვნას ასრულებს. აქ ერთი განწყობიდან მეორეზე ლოგიკური გადასვლის მთელი ჯაჭვი არსებობს, რომელშიც არალოგიკურ განწყობას ადამიანი უკვე ვეღარ იტანს.

ეს ლოგიკა უზნაძეს არ აქვს განხილული, მაგრამ უზნაძისეულ თეორიას ერგება. ასეთი თეორია ჰქონდა ფესტინჯერსაც და მართლდება, რომ ადამიანი ძალიან ლოგიკური არსებაა და ეს ლოგიკა არ არის გაცნობიერებული.

— *რა საშიშროებას წარმოადგენდა კომუნისტებისთვის დიმიტრი უზნაძის თეორია? რატომ ებრძოდნენ მის მოძღვრებას და სკოლას?*

— მას შემდეგ, რაც უზნაძე გარდაიცვალა, სკოლა უფრო დასუსტებული იყო, რადგან ძირითადი ფიგურა ამ სკოლას აღარ ჰყავდა. „ლიტერატურნაია გაზეტა"-ში იდეოლოგიური შინაარსის წერილი დაიბეჭდა და, რა თქმა უნდა, ასახავდა კრემლის პოზიციებს. მისი შინაარსი გახლდათ ასეთი: საქართველოში არის იდეალისტური სკოლა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში, კავკასიონის ქედს ამოფარებული, ჩუმად, თავისთვის მუშაობს და აღიარებს, რომ სუბიექტური უფრო წამყვანია, ვიდრე ობიექტური და მიიჩნევს, რომ ცნობიერებას წარმართავს არაცნობიერი. მარქსიზმი კი პირიქით ამბობდა: ყველაფერს ობიექტური რეალობა აყალიბებს და ყველაფრის წარმმართველი ცნობიერიაო. წერილში ნათქვანი იყო, რომ ეს იდეალისტური სკოლა, ფაქტობრივად, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა და გაუგებარია, როგორ მოაღწიეს აქამდეო. ამის შედეგი იყო, რომ მოსკოვიდან ჯერ ერთი კომისია ჩამოვიდა, შემდეგ — მეორე. ქართველი ფსიქოლოგები მოსკოვშიც დაიბარეს. როდესაც ეს დისკუსიები საქართველოში მიმდინარეობდა, მთელი ქართული ინტელიგენცია მათ გულშემატკივრობდა. ყველა თავს ვალდებულად თვლიდა, რომ მდგარიყო იქ, სადაც წყდებოდა ქართული სკოლის და ქართული კულტურის გადარჩენის ბედი.

ქართველი ფსიქოლოგებიდან არც ერთმა არ დაიხია უკან, მიუხედავად იმისა, რომ, პრაქტიკულად, დისკუსია დახვრეტის რისკს შეიცავდა. ყველამ იბრძოლა ფსიქოლოგიის სკოლის გადარჩენისთვის.

— *და რადგან ყველამ ერთად ამოიღო ხმა, დასჯის მექანიზმი არ ამოქმედებულა?*

— ეს მარტო ხმა არ იყო, არგუმენტაციაც ძალიან მაღალი მეცნიერული დონისა გახლდათ. ბრძოლა მიდიოდა ყველა მილიმეტრზე და ქართველებს არც ერთი პუნქტი არ დაუთმიათ. საკმაოდ კარგი სამსახური გაგვიწიეს რუსმა კოლეგებმაც, მოსკოველმა ფსიქოლოგებმა, რომლებიც იქ ქმნიდნენ კლიმატს. ეს საფთხე ფსიქოლოგებისგან არ წამოსულა. ის მოდიოდა ფიზიოლოგებისგან, რომელთაც სურდათ ფსიქოლოგია მათი ყოფილიყო და ბრძოლა დაიწყეს, მათი აზრით, შედარებით სუსტი წერტილის — ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წინააღმდეგ. თუ აქ გაიმარჯვებდნენ, მათი მოსაზრება უკვე უფრო ფართო არეალში გავრცელდებოდა და მათი გავლენაც გაიზრდებოდა. ამიტომ იყო, რომ ამ საბრალდებო წერილს ხელს აწერდა ფიზიოლოგი და ფილოსოფოსი საქართველოს მხრიდან.

— *საერთოდ, უზნაძის თეორია მსოფლიო მნიშვნელობის მქონეა თუ ეს ცოტა გაზვიადებული შეფასებაა?*

— დღეს რომ ვიმსჯელოთ, უზნაძის თეორია თავისი შინაარსით მსოფლიო დონის მართლაც არის, ოღონდ მას, რა თქმა უნდა, განვითარება სჭირდება. განუვითარებელი მეცნიერული თეორია ყოველთვის ჩერდება და მერე კვდება. სხვათა შორის, ფსიქოლოგიური სკოლის წინააღმდეგ მიმართული ამ კამპანიის შემდეგ დაიწყო მეორე ეტაპი — კერძოდ, მოსკოველი კოლეგები უზნაძის თეორიას ან საერთოდ არ მოიხსენიებდნენ, ან უზნაძეს მოიხსენიებდნენ, როგორც რაღაც ექსპერიმენტების ავტორს. ფსიქოლოგიაში უზნაძე მათთვის უსიამოვნო კონკურენტი იყო. საქართველოში ერთადერთხელ მოეწყო არაცნობიერის მსოფლიო კონგრესი, ისიც მას შემდეგ, რაც მოსკოვმა გადაწყვიტა დიალოგში შესულიყო დასავლეთთან. მათ ფროიდთან სადისკუსიოდ განწყობის ფსიქოლოგიის პლატფორმა აირჩიეს და, შესაბამისად, აირჩიეს თბილისი, როგორც ამ დისკუსიის ადგილი. თუმცა ამ დისკუსიის შემდეგაც ჩაიკეტა კარები და განწყობის ფსიქოლიგიას არ მისცეს განვითარების საშუალება. ამ იზოლაციის გამო, დღეს, ლაპარაკი იმაზე, რომ მსოფლიო ფსიქოლოგიამ იცის განწყობის თეორია, ნაკლებადაა შესაძლებელი. უზნაძის თეორიას პოპულარიზაცია აკლია.

ვერ ვიტყვი, რომ პერსპექტივა ამ მომენტში წარმტაცია, მაგრამ თუ ოდნავ მაინც შეიცვალა დამოკიდებულება მეცნიერებისა და განწყობის ფსიქოლოგიის მიმართ და მას არსებობის პირობები შეექმნა, ახალგაზრდა თაობაში მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ფუნდამენტალური საკითხებით დაინტერესდებიან და განწყობის ფსიქოლოგიის მსოფლიოში სათანადოდ პოპულარიზაციასაც შეძლებენ.

განწყობის ფსიქოლოგია და ქართული ფსიქოლოგიური სკოლა ისეთი ტრადიციების მატარებელია, რომ არც ერთ მეცნიერს არ შერცხვება მისი უცხო კოლეგებისთვის წარდგენა.

მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორი

მეთორმეტე გვერდიდან

ბა, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა: შეიცვალა მხოლოდ რედაქცია, შეიცვალა მასალის აგებულების წესრიგი და ზოგან მოთხრობის ხასიათიც; დამატება მხოლოდ მცირეოდენი მოვასწარით. — თუ საჭირო შეიქნა, მესამე გამოცემისთვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრით წიგნს გავაფართოვებთ. ახლა კი ხელახლა იმას ვაწვდით საზოგადოებას, რისი დამზადებაც მოვასწარი."

სახელმძღვანელოს პირველ თავში დიმიტრი უზნაძე სკოლის მოსწავლეებისათვის გასაგები ენით განმარტავს — რა არის ისტორია და რა მნიშვნელობა აქვს მის ცოდნას. საგულისხმოა, რომ ავტორი თავს არიდებს მეცნიერულ მსჯელობას, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სახელმძღვანელო უფრო მეტად დაბალი კლასის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი.

„როგორც კერძო ადამიანი, ისეა მთელი სოფელი ან ქალაქიც. ავიღოთ თუნდ ქუთაისი. დღეს იქ რამდენიმე ათასი მკვიდრი ცხოვრობს, რამდენიმე ფართო მოკირწყლული ქუჩაა, რომლებიც ღამ-ღამობით ელექტრონით არის განათებული და რომელზედაც მოგზაურობა ეტლებითაც ხდება. დღეს აქ რამოდენიმე სასწავლებელია, ტელეფონია და სხვა მრავალი დაწესებულება. ერთი სიტყვით, ქუთაისსაც მრავალ ცვლილებათა გზა გაუვლია და დღევანდელი სახე მხოლოდ ხანგრძლივი თავგადასავლის შემდეგ მიუღია. ასეთია ცალკე ხალხის ცხოვრებაც.

ჩვენ მარტო აწმყო კი არ გვაინტერესებს, ჩვენი წარსულის გაგებასაც ვესწრაფვით. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდი ბერძნებმა წარსულის გაგებასა და შემეცნებას ისტორია უწოდეს. იმ დროიდან ეს სიტყვა არ მოსპობილა, და დღესაც ისტორიას წარსულის შემეცნებას უწოდებენ. ისტორია ისეთ პირთა და მოვლენათა შესწავლას ცილობს, რომელთა გავლენაც მთელი ხალხის ცხოვრებას ეხება. ასევეა კაცობრიობის ისტორიაც", — წერს დიმიტრი უზნაძე.

მომდევნო თავებში პედაგოგი განმარტავს — რა არის კულტურა, ისტორიის წყაროები და ა.შ. სახელმძღვანელოს მომდევნო თავში აღწერილია პრეისტორიული ხანა, სადაც იგი აღნიშნავს, თუ რა არის ნივთიერი კულტურა; საუბრობს, ასევე, ქვის ხანაზე, თუ როგორ ისწავლა ადამიანმა ცეცხლი დანთება; როგორ ააშენა საცხოვრებელი; როგორ დაიწყო მეურნეობა და მოიშინაურა ცხოველები და ა.შ. სახელმძღვანელოში საუბარია მატრიარქალურ და პატრიარქალურ წეს- წყობილებაზე, ვაჭრობის, კულტურის განვითარებაზე, სარწმუნოებაზე და სახელმწიფოს წარმოშობაზე. სახემძღვანელოს მომდევნო თავი ეგვიპტის ისტორიას აქვს დათმობილი, რომელსაც მოსდევს ასურეთისა და ბაბილონის, ხეთების, ფინიკიელების, არიელებისა და ძველი სპარსეთის ისტორია.

ეს პატარა უნიკალური ნაშრომი, რომლის ფურცლებსაც სიძველე ,,მოკიდებია", გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, თუ როგორი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა ეს დიდი მეცნიერი, რომელსაც სურდა ქართულ სკოლაში მოსწავლეები მშობლიურ ენაზე გაცნობოდნენ მსოფლიოს ისტორიას.

ფოტო-რეპორტაჟი დიმიტრი უზნაძის საცხოვრებელი სახლიდან

სახლ-მუზეუმის გახსნის იდეა ჯერაც იდეად რჩება

დიმიტრი უზნაძის ქუჩის №91-ში დღეს დიდი მეცნიერის შთამომავლები ცხოვრობენ. სახლი, სადაც მსოფლიოში ერთერთი დიდი ფსიქოლოგი ცხოვრობდა და მუშაობდა, რომლის წიაღშიც დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა, სხვადასხვა ოჯახის მიერ არის პრივატიზებული. უზნაძის შთამომავლების საკუთრებაში სახლის მხოლოდ მეორე სართულია. პირველ სართულზე კი, სადაც საქართველოში პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია ფუქციონირებდა, ჩვეულებრივი ოფისია გახსნილი. დიმიტრი უზნაძის შვილიშვილის — დუდა შიშნიაშვილის იდეა, რომ ამ სახლში სახლ-მუზეუმი გახსნილიყო, დიდი მცდელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, მხოლოდ იდეად დარჩა. ფსიქოლოგიური ლაბორატორიის აპარატურა კი დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს გადაეცა.

დიმიტრი უზნაძის ქუჩის №91-ში, მეორე სართულზე, დიმიტრი უზნაძის შთამომავლები ცხოვრობენ, სადაც დღემდე ინახება მეცნიერის პირადი ნივთები: შლაპა, „პორტფელი“, ქისა, სავარცხელი, ჟილეტი და მისი საყვარელი სავარძელიც.





დიდი მეცნიერის შვილიშვილის — დუდა შიშნიაშვილის მეუღლე და მისი შვილები — ნინო და ირინა შიშნიაშვილები სათუთად უფრთხილდებიან დიმიტრი უზნაძის კაბინეტში განთავსებულ მეცნიერის სამუშაო მაგიდას, კარადებს, გერმანიიდან ჩამოტანილ მეცნიერის პირად ბიბლიოთეკასაც. ეს ნივთები ოჯახის რელიქვიებია.

Ens

ახალგაზრდობის პერიოდში (1909-1920 წწ.) დიმიტრი უზნაძე პუბლიცისტურ-პოლემიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი პოლემიკის საგანს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მოტივი შეადგენდა უმთავრესად.

როგორც ცნობილია, ასეთ საკითხებზე პოლემიკური ტონი და, საზოგადოდ, პოლიტიკური ბრძოლა, იმ დროს, პრესის ფურცლებზე, ფსევდონიმს აფარებდა თავს: დ. უზნაძის მთავარი ფსევდონიმი არის — Ens (ენს). ამის დადასტურება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც გაცნობიერებულ იქნა უზნაძის ახალგაზრდობის პერიოდის ფილოსოფიური და პედაგოგიური კონცეფცია. აღმოჩნდა, რომ Ens-ის ფსევდონიმით დაწერილ ზოგიერთ წერილში უზნაძის იმდროინდელი კონცეფციის ძირითადი იდეაა გატარებული.

Ens-ს თვითონ დ. უზნაძე ხმარობდა ფილოსოფიაში არსის მნიშვნელობით. როდესაც დ. უზნაძე თავის ფსევდონიმად ამ სიტყვას ირჩევდა, ის, ალბათ, ანგარიშს უწევდა ენსის მნიშვნელობის ამ დამკვიდრებულ აზრს ფილოსოფიაში. ყოველ შემთხვევაში ამ აზრდებულ და ფილოსოფიურად გაშინაარსებული სიტყვის ფსევდონიმად შერჩევა შემთხვევითი არ იქნებოდა და, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის რაღაცნაირად ესიტყვებოდა მის განცდებს.

მოამზადეს: **ნატო ოგოლაძემ და ლიკა პეტრიაშვილმა**

ის, რაც დიდ ბაბუის შესახებ სმენია...

ორი წლის წინ დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის შვილიშვილი დუდა შიშნიაშვილი უცაბედად გარდაიცვალა. იგი ბაბუის გაზრდილი გახლდათ და მასთან არაერთი მოგონება აკავშირებდა. მართალია, ყველაფრის მოყოლა ვერ მოასწრო, მაგრამ დიდი ბაბუის შესახებ შვილებს გარკვეული წარმოდგენა მაინც შეუქმნა. სამწუხაროდ, დიმიტრი უზნაძის ცხოვრებისეული დეტალების შესახებ დიდად მოსაუბრე დღეს მის შთამომავლებშიც აღარავინაა, მაგრამ უზნაძის შვილთაშვილები — ნინო და ირინა შიშნიაშვილები სათუთად ინახავენ დიმიტრი უზნაძის ხსოვნას. ჩვენთან საუბარი დიმიტრი უზნაძეზე მხოლოდ ნინომ ისურვა და შეეცადა ისე დაეხატა ჩვენთვის დიდი მეცნიერის პიროვნება, როგორც თავად მას აქვს გადმოცემით წარმოდგენილი.

ნინო შიშნიაშვილი,
დიმიტრი უზნაძის შვილთაშვილი:

— დიმიტრი უზნაძეს ორი ქალიშვილი ჰყავდა, მედეა და ეთერი. ჩვენ ეთერი უზნაძის შტო ვართ. პირადად მე მასთან ვიზრდებოდი. მედეა და ეთერ უზნაძეებს მამაზე საუკეთესო მოგონებები ჰქონდათ. ყოველთვის ამაყობდნენ მისი პიროვნებით. დიმიტრი უზნაძე გამორჩეული ადამიანი გახლდათ. ბებია მიყვებოდა-ხოლმე, რომ ჩემი დიდი ბაბუა ძალიან თბილი, ყურადღებიანი და მოსიყვარულე მამა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მუშაობდა და გატაცებული იყო თავისი საქმიანობით, შვილებს ყუდაღებას არ აკლებდა. მათ თურმე ხშირად ესაუბრებოდა ხელოვნებაზე, მხატვრულ ლიტერატურაზე, ადამიანების ბუნებაზე, უნარ-ჩვევებზე...

დიმიტრი უზნაძეს ძალიან კარგი მეუღლე ჰყავდა. შუშანა ბუტულაშვილი პროფესიით ექიმი გახლდათ — არაჩვეულებრივი და ძლიერი პიროვნება. ოჯახში ყველამ იცოდა გერმანული. სამწუხაროდ მამაჩემი, ეთერ უზნაძის ვაჟი — დუდა შიშნიაშვილი ორი წლის წინ უცაბედად გარდაიცვადა და თან უამრავი მოგონება წაიღო, რადგან მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა ბაბუასთან — დიმიტრი უზნაძესთან. მისგანაც ვიცი, რომ ბატონი დიმიტრი ძალიან საინტერესო ადამიანი იყო.

დიმიტრი უზნაძის ქალიშვილისგან — მედეა უზნაძისგან ისიც ვიცი, რომ 1979 წელს, როდესაც საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „არაცნობიერის“ თემაზე ჩატარდა, მან ზიგმუნდ ფროიდის ქალიშვილისგან, ანა ფროიდისგან მისასალმებელი წერილი მიიღო, სადაც იგი მწუხარებას გამოთქვამდა, რომ ვერ ჩამოვიდა მსოფლიოში ერთერთი საუკეთესო ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის სამშობლოში. ეს ფაქტი მაშინ ძალიან გახმაურებულა.

მე პროფესიით ბიოლოგი ვარ, ფსიქოლოგიით ყოველთვის ვიყავი გატაცებული, მაგრამ ღრმად არ შემისწავლია. თუმცა ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ როდესაც დიმიტრი უზნაძის შთამომავალი ხარ და პროფესიად ფსიქოლოგიას აირჩევ, ამის გამო ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გეკისრება.

ნინო და ირინა შიშნიაშვილები შვილთან ერთად

პიროვნება — უზნაძის თეორიაში და თეორია უზნაძის პიროვნებაზე

მეორე გვერდიდან

ამ კონტექსტში მიმდინარეობდა დისკუსია, როცა გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძის წერილები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირის მოტივები“. მან საკუთარი კონცეფციის საფუძველზე გააანალიზა ბარათაშვილის პოეზია (აქტივობის თეორია და შემოქმედებითი სწრაფვის აბსოლუტური ხასიათი), შეიწყნარა არჩილ ჯორჯაძის მიერ უარყოფილი ცხოვრების საკითხების განხილვის მეტაფიზიკური პრინციპი და უარყო ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების განხილვის გრიგოლ რობაქიძისეული პოზიცია. ამით დიმიტრი უზნაძემ იმთავითვე გამოამჟღავნა აზროვნების ფილოსოფიური მიდრეკილება და ინტერესთა მაღალი სფერო.

1909 წელს საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით ქუთაისში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის გამგეობის წევრადაც დიმიტრი უზნაძე აირჩიეს. მან არაერთი საინტერესო ლექცია წაიკითხა მსმენელებისთვის. მის შესახებ გაზეთები წერდნენ: „დ. უზნაძემ, რომელშიც ახალგაზრდა სიცოცხლე დუღს, წაიკითხა საცდელი ლექცია და რა აღმოჩნდა? უნივერსიტეტმა დიდი ძალა შეიძინა. დ. უზნაძეს აქვს მდიდარი ერუდიცია, მშვენიერი დიქცია, შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, აზრს გასაგები ფორმით ალაგებს, არ მისდევს იაფფასიან ეფექტს, ის ჩინებულად აყალიბებს თავის შინაარსიან სიტყვას. უზნაძიდან გამოჩენილი ლექტორი დადგება“. ამ პერიოდში უზნაძემ წაიკითხა რამდენიმე ლექცია, რომელთა თემა იყო: „აღმოსავლეთის კულტურის ისტორია“, „ასურეთი და ბაბილონი“, „ბატონყმობის აღორძინება და გაუქმება რუსეთსა და საქართველოში“, „სოკრატე და მისი დრო“.

დიმიტრი უზნაძის ლექციის კითხვის მანერას კარგად აღწერს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საღამოს კურსების ერთერთი მსმენელი ილია გეგეჭკორი. იგი მოგონებებში წერს: „ოთახი განათებულია გაზის სანათურით. ცნობილია, იგი ცისფერ სხივებს მიმოფანტავს გარშემო. ამ მეტად ლამაზ გარემოცვაში დგას მოხდენილი შესახედაობის, მეტად კულტურულად ჩაცმული დიმიტრი უზნაძე. მას ცალი ხელი წელზე შემოუდვია (მაშინ ეს ჩვევა ჰქონდა მას საჯარო საუბრის დროს, რაც თავისებურ სილამაზეს აძლევდა), მეტყველებს დინჯად, აუღელვებლად, არავითარი ხელოვნური პათოსი... თითქოს ერთი შეხედვით მონოტონურიც კი არის ეს მეტყველება, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის რამდენი შინაგანი კულტურა იყო ამ თავისებურ, დინჯ მეტყველებაში: ყოველი ბგერის გარკვეული წარმოთქმა-ჩამოქანდაკება, ჩვენთვის გასაგები პოპულარული მეტყველება სრულიად არ იყო მოკლებული მეცნიერულ სიღრმეს.“ ამგვარი საჯარო ლექციები მრავლად წაიკითხა დიმიტრი უზნაძემ 1910-1913 წლებში.

მისი პედაგოგიური ალღო იმ დროსაც კი არ დარჩენილა შეუმჩნეველი. მას პატივს სცემდნენ, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ამიტომაც 1913 წელს იგი პეტერბურგში სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრების დელეგატად მიავლინეს. ამ ყრილობაზე საქართველოს სკოლების შესახებ ცალკე რეზოლუცია მიიღეს. რეზოლუციის მოთხოვნები იყო: ქართულ სკოლაში ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლება, სკოლის მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებზე აგება და თბილისში უნივერსიტეტის გახსნა. ამდენად, დიმიტრი უზნაძე იმთავითვე შეიძლება ვიგულოთ, როგორც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მომხრე და მოთავე.

დიმიტრი უზნაძე დიდი ინტერესით ეკიდებოდა ქართულ საგანმანათლებლო საკითხებს. სადაც კი განიხილებოდა საკითხი მოწაფეთა წერითი მუშაობისა და ქართული მართლწერის შესახებ, უზნაძე ყველგან აქტიური მონაწილე იყო. მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვიძება, მეცნიერების გავრცელება ხალხში და სამეცნიერო ტერმინების შემუშავება ქართულ ენაზე — ეს იყო დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის გზა.

მის სახელს არაერთი სახალხო და ეროვნული საქმე უკავშირდება, ის ხელმძღვანელობდა საზოგადოება „სინათლის“ მიერ გახსნილ სათავადაზნაურო ქალთა გიმნაზიას, მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთვის გაშლილ მოძრაობაში, გამოსცემდა სახელმძღვანელოებს. დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით დაარსდა თბილისში პირველი პედაგოგიური ინსტიტუტი და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ფსიქოლოგიის ლაბორატორია (1918 წელს), რომელმაც არაერთი თვალსაჩინო მეცნიერი აღუზარდა საქართველოს.

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი უზნაძე აქტიურად მონაწილეობდა 1910-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, 1917-1919 წლებში კი — საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი.

1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომაზე, მან ხელი მოაწერა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“.

1941 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის პირველი სამეცნიერო დაწესებულება — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორი, რომელიც 1943 წელს ინსტიტუტად გადაკეთდა.

დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები მრავალფეროვანი იყო. იგი იკვლევდა ზოგადი ფსიქოლოგიის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა აღქმის, წარმოდგენის, ყურადღების, აზროვნების, ნებისყოფის, მეტყველების პრობლემები. ასევე მუშაობდა ბავშვისა და პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხებზე.

1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომაზე, დ. უზნაძემ ხელი მოაწერა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“

იგი იყო საქართველოში შრომის ფსიქოლოგიის, ბავშვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. მან შეისწავლა ფენომენი (ე.წ. „უზნაძის ეფექტი“), რომელიც საფუძვლად უდევს განწყობის ექსპერიმენტულ მეთოდს (განწყობის „მცირე თეორია“). მისი მოსწავლეებისა და უშუალოდ მისი დაკვირვებისა და კვლევების შედეგად, მცირე თეორია შემდგომში ჩამოყალიბდა განწყობის ფსიქოლოგიად, რომელიც ადამიანის აქტივობის ძირითად ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს შეისწავლის. ამ თეორიის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ უცხოელი მეცნიერებიც. 1966 წელს ფსიქოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესზე გამოჩენილმა ფსიქოლოგმა ჰ. ფრესმა განაცხადა, რომ განწყობის პრობლემა თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემად მიაჩნდა და აღნიშნა ის დიდი წვლილი, რაც ამ პრობლემის დამუშავებაში ქართველმა ფსიქოლოგებმა შეიტანეს.

დიმიტრი უზნაძის თეორიის მნიშვნელობაზე მეტყველებს 1979 წელს თბილისში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „არაცნობიერი“, რომელზეც მთავარი ადგილი დაეთმო განწყობის თეორიას. ეს სიმპოზიუმი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები. სიმპოზიუმს მისასალმებელი წერილი გამოუგზავნა ზიგმუნდ ფროიდის ქალიშვილმა ანი ფროიდმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ დიდი მეცნიერები სიმპოზიუმში სწორედ უზნაძის თეორიის უდიდესი ავტორიტეტის გამო იღებდნენ მონაწილეობას.

დიმიტრი უზნაძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერის მოამაგე იყო. მან, სხვებთან ერთად, დიდი ენერგია ჩააქსოვა, რათა ქართულ საზოგადოებას დარჩენოდა ქართული უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი, ფსიქოლოგიური მეცნიერება, საშუალო სკოლის თეორია, ექსპერიმენტული პედაგოგიკის საფუძვლები, ფსიქოლოგიური მეტყველება, სასკოლო სახელმძღვანელოები.

უზნაძის „ეგო“

დიმიტრი უზნაძეს არ დარჩენია არც დღიური, არც კერძო მიმოწერა, არც მოგონებები, არაფერი ისეთი, რაც მის სულში ჩაგვახედებდა და მისი შემოქმედების გაგების მეტ შესაძლებლობას მოგვცემდა, თუმცა სპეციალისტები, მის თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით, მაინც ახერხებენ ამ დიდი ადამიანის შინაგანი ბუნების წარმოჩენას.

მას, ისე, როგორც ბევრ სხვა ნათელ გონებას, დაუნდობლად ებრძოდნენ საბჭოთა იდეოლოგები, რაც მწერალმა ოთარ ჩხეიძემ აღწერა კიდეც თავისი რომანში „ბურუსი“, თუმცა თავად უზნაძისა და მისი გარემოცვის მასშტაბური და პრინციპული აზროვნების გამო, ბევრი ვერაფერი დააკლეს ამ თეორიას.

დიმიტრი უზნაძის ხასიათის ძირითად მახასიათებლად მონოლითურობას მიიჩნევენ, თუმცა ამ მონოლითურობაში მაინც ინტელექტი სჭარბობდა. როგორც მისი თანამედროვენი წერენ, დიმიტრი უზნაძეს მახვილი და შორსმწვდომი გონება ჰქონდა, პიროვნულად უდრეკს და პრინციპულს, კაცთმოყვარეობის დიდი ნიშანი ედო თურმე. იხსენებენ: „ბევრის პატიება იცოდა. ცდილობდა ადამიანის ცუდი საქციელი კარგი მოპყრობით შეებოჭა. იტყოდა: გაკიცხვაზე უფრო სიკეთე მოქმედებს, სიკეთე უფრო სწვდება ადამიანურ არსს, აამოძრავებს, აამოქმედებს ადამიანურ საწყისს და ეგებ კაცი შემდეგ კარგ გზას დაადგესო.“

ზოგადად მშვიდი იყო თურმე, მაგრამ ერთხელ განრისხებულიც უნახავთ. აი, როგორ აღწერს ერთ ამბავს უზნაძის ერთერთი საუკეთესო მოწაფე, პროფესორი იოსებ ბჟალავა: „მეორე სამამულო ომის პერიოდი იყო. ცივი, სუსხიანი ზამთარი მძვინვარებდა. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შენობაში ციოდა. შენობის შესასვლელთან სასკოლო მერხი იდგა. ერთ დღეს სიცივით შეწუხებულმა ბუხჰალტერმა გასცა განკარგულება მერხი დაემტვრიათ და მით ღუმელი დაენთოთ. ასეც მოიქცნენ. მერხი დაინვა. გავიდა ხანი. ერთ დღეს დიმიტრიმ მერხი მოიკითხა: რომ არ ვხედავ, სად არისო? როცა გაიგო, რაც მერხს გადახდა, საშინლად განრისხდა, იხმო ბუხჰალტერი და ჰკითხა მას. ბუჰხალტერმა დაადასტურა, რომ მან გასცა განკარგულება მერხის დამტვრევისა. დიმიტრიმ იქვე დაწერა ბრძანება ბუხჰალტერის სამსახურიდან განთავისუფლებისა.“ მისთვის მერხი იყო სასწავლო საგანი, პედაგოგიკასთან დაკავშირებული ელემენტი, სწავლების ნიშანი და ამიტომ მისი განადგურება, უზნაძისნაირი კაცის გაგებით, არ შეიძლებოდა.

დიმიტრი უზნაძე მაღალი ეთიკის მქონე პიროვნება იყო. ის ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც ამას მისი მოქალაქეობრივი და ადამიანური ნორმები უკარნახებდა. აქტივობა, საქმიანობა — ეს იყო მისი სიცოცხლის დევიზი, თუმცა პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა და ღრმა მეცნიერული ერუდიცია არ უშლიდა ხელს — მოკრძალებული და თავმდაბალი ყოფილიყო. მისი მოსწავლეები მის პედაგოგიურ მეთოდებს მთელი ცხოვრება იხსენებდნენ და ემადლიერებოდნენ.

დიმიტრი უზნაძეს ხშირად ხედავდნენ ტრიბუნაზე ქუთაისსა და თბილისში, სადაც მისი გამოსვლები ყოველთვის აკადემიური იყო. დემაგოგიას არასოდეს მიმართავდა, მოწინააღმდეგეს თანმიმდევრულად, ლოგიკური არგუმენტებით ეპაექრებოდა და ამ პაექრობაში ხშირად გამარჯვებულიც გამოდიოდა.

თანამედროვენი დიმიტრი უზნაძეს პირად ურთიერთობებსაც აღწერენ და ამბობენ, რომ ის ძალიან უბრალო, მხიარული და სტუმართმოყვარე იყო. უყვარდა საზოგადოებაში დროის გატარება და არც წვეულებებს გაურბოდა.

დიმიტრი უზნაძის ყურადღება ასკეცდებოდა, როცა ვინმეს უჭირდა. მაგალითად, როცა მისი მოწაფე ავად გამხდარა, დღეში ორჯერ მოინახულებდა თურმე მას და ექიმთა თათბირებსაც ესწრებოდა, რათა ყველაფრის საქმის კურსში ყოფილიყო. მეცნიერებასა და საზოგადოებრივ მუშაობასთან ერთად, მას პიროვნებებზე ზრუნვაც საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა.

არ უყვარდა თავისი გრძნობების დემოსტრირება, მაგრამ ერთ განცდას მაინც ვერ ფარავდა — თავისი ორი შვილის — მედეასა და ეთერისადმი უსაზღვრო სიყვარულს. მოგვიანებით კი შვილიშვილი დუდა ალამაზებდა მის სიცოცხლეს.

გარდაცვალებამდე წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვა

1950 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ტრადიციული „ოთხშაბათობის“ სხდომა იყო დანიშნული. დიმიტრი უზნაძე ინსტიტუტში მისვლისთანავე საქმეს შეუდგა — თავისი უკანასკნელი შრომა მემანქანეს გადააბარა დასაბეჭდად და სხდომას მიაშურა. საბედისწერო არავის არაფერი შეუმჩნევია. განწყობის თეორიის შესახებ დიმიტრი უზნაძემ პირველმა ილაპარაკა. შემდეგ კამათში სხვებიც ჩაერთვნენ. ის გულდასმით უსმენდა მოპაექრეებს. ბოლოს სიტყვა ისევ მან ითხოვა. ტრიბუნასთან დადგა და პირველი სიტყვა, რაც წარმოთქვა, იყო „ფსიქიკა“.... ამის შემდეგ ის შეტორტმანდა, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მიიდო, ხელი აუკანკალდა, სახეზე სიფითრემ გადაჰკრა და ჩაიკეცა... საბედისწერო მომენტიდან დაახლოებით 30 წუთის შემდეგ თავის მეუღლეს, რომელიც ის-ის იყო მივიდა, დაბალი ხმით შეეკითხა — „სისხლის ორმხრივი ჩაქცევაა?“ უარყოფითი პასუხის შემდეგ ხელი ოდნავ ჩაიქნია... ნახევარ საათში მდგომარეობა გაუარესდა, ცნობიერება დაკარგა.

მომხდარ უბედურებაზე ქალაქში ხმა მალე დაირხა. დაიწყო შეუწყვეტელი დენა ხალხისა: მოდიოდნენ პატივისმცემლები, მეგობრები, მეცნიერები, სტუდენტები... მთელი ღამე ფეხზე დგომით გაათენეს მომაკვდავ ადამიანთან...

12 ოქტომბერს დიმიტრი უზნაძე გარდაიცვალა ისე, როგორც გარდაიცვალა მისი უფროსი თანამედროვე და თანამოაზრე, დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. ორივეს სიცოცხლე ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში გაილია და სიკვდილიც ორივეს თავისი ხალხის თვალწინ ერგოთ, ერთს ლექციის კითხვისას აღმოხდა სული, მეორეს კი ინსტიტუტში მოხსენების კითხვისას.

ერთი მათგანის უკანასკნელი სიტყვა საქართველოს ისტორია იყო, მეორისა კი — ქართული ფსიქოლოგია...

დიმიტრი უზნაძე ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. 1988 წლის 21 მაისს კი მისი ნეშტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონს მიაბარეს.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

მონაცემები ეეყრდნობა ნ. ბერულავას წიგნს „დიმიტრი უზნაძე“ და ბლოგ „ბურუსზე“ (http://burusi.wordpress.com) გამოქვეყნებულ მასალებს.

ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი უზნაძე და კორნელი კეკელიძე ივანე ჯავახიშვილის ნეშტის გამოსვენებისას

ლადო გუდიაშვილის შემოქმედების ფსიქოლოგია

ცნობილი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი, რომელიც დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიურ ცდებში, როგორც მხატვარი, მონაწილეობას იღებდა, შემდეგ უკვე დიდი ფსიქოლოგის პორტრეტის ავტორიც გახდა. მხატვარმა უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთერთი დამფუძნებელი გამოსახა როგორც რაინდი... ეს იყო 1945 წელს. მაშინ უზნაძის მოღვაწეობა, მართლაც, რაინდობის ტოლფასი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფონია — მუქი ფარდები, ჩაბნელებული და მოღუშული გარემო, რომელშიც გუდიაშვილმა მეცნიერი გამოსახა. დიმიტრი უზნაძე ხომ მთელი ცხოვრება ამ სიბნელეს ებრძოდა...



ცნობილია ლადო გუდიაშვილის ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა დიმიტრი უზნაძის პორტრეტი.

„მართლაც გარკვეული დროა საჭირო, რომ მაყურებელმა ესა თუ ის ნაწარმოები მიიღოს, ან პირიქით, არ მიიღოს.

რაც შეეხება დიმიტრი უზნაძის პორტრეტს, მე იგი წინასწარ გავაფრთხილე:

— ეს ტრადიციული პორტრეტი არ იქნება. იქნებ, ზუსტი მსგავსება ვერ იპოვოთ, მაგრამ ეს იქნება ჩემი თვალით დანახული თქვენი ზოგადი პორტრეტი-მეთქი.

— ვიცი, ვიცი, ხელოვნების შეზღუდვა და მისი რომელიმე ერთ ფორმაში მოქცევა არ შეიძლებაო, — მითხრა.

სურათში შევიტანე ისეთი ელემენტები, რაც ტრადიციული იყო მისი ხასიათისა და ცხოვრებისათვის — ჩაცმულობა, წამოსასხამი, ხალათი... მთლიანობაში მხოლოდ სახე დარჩა რეალისტური. მაგრამ გარემო, ალბათ, არ უქმნიდა მას საერთო რეალისტურ ხასიათს, რის გამოც შეიქმნა სხვადასხვა აზრი. ზოგს მოსწონდა, ზოგს არა... უფრო არ მოსწონდათ, განსაკუთრებით მის ნათესავებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მე, პირადად, კმაყოფილი ვიყავი. ასეთი რამ არც ისე ხშირად მემართება. ბოლოს ეს პორტრეტი ყველამ აღიარა", — ვკითხულობთ ლადო გუდიაშვილის ჩანაწერებიდან, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ფსიქოლოგისა და მხატვრის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მხატვარი თავის წერილში აღიარებს იმასაც, რომ დიმიტრი უზნაძისადმი სიყვარულმა შეაქმნევინა მისი პორტრეტი.

„დიდ პატივს ვცემდი დიმიტრი უზნაძეს. ძალიან მიყვარდა. ამიტომაც გადავწყვიტე მისი პორტრეტი შემექმნა. ფაქიზი გრძნობების, დიდად კეთილშობილი ადამიანი იყო: მან თვითონ მოისურვა ჩემი გაცნობა. ეწადა, შეეცნო ჩემი ფსიქოლოგიური სამყარო და ამ განზრახვით დაიწყო ჩემი გრაფიკული ნამუშევრების შესწავლა. დამიძახეს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. ჩამიტარეს რამდენიმე ცდა. ცდა ასეთი იყო: ფარდის უკან დადგა ვიღაც მამაკაცი. მითხრეს: თქვენ მას არ იცნობთ... იგი წაიკითხავს ლექსს, ან ნაწყვეტს მოთხრობიდან, ან მოყვება რაიმეს, თქვენ კი ხმის მოძრაობის მიხედვით დახატეთ მისი სახეო... დავხატე ერთი... მეორე... მესამე... წარმოიდგინეთ, საოცრად დაემთხვა ხაზებიც, მოძრაობაც, ხასიათიც... თვალების გამომეტყველებაც ზუსტი გამოვიდა... რა თქმა უნდა, ეს ნამდვილი პორტრეტი არ იყო. უფრო მიანიშნებდა ხასიათს", — აღნიშნულია წერილში, რაც გვაძლევს იმ ფიქრის საფუძველს, რომ ლადო გუდიაშვილის მონაწილეობით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა მეცნიერსაც მისცა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება.

საგანგებო დავალება მომავალი მოქანდაკისთვის

დიმიტრი უზნაძის ბიუსტი, ვაჟა-ფშაველას ძეგლი, „დაჩეხილი საქართველო", „აჯანყებული გურული", „შინ მოუსვლელთა მემორიალი", „წყალქვეშა კოლხიდა" — ეს გიორგი ოჩიაურის ქანდაკებების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. მისი შემოქმედება ქვაში, ბრინჯაოში, მარმარილოსა თუ ხეში გამოსახული საქართველოს ისტორიაა, რომლის ,,გადაკითხვისას" ისიც კარგად ჩანს, თუ რად დაუდგა ძეგლი ქართულმა საზოგადოებამ დიმიტრი უზნაძეს. გიორგი ოჩიაურმა, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტობისას, ჩამოასხა დიმიტრი უზნაძის პორტრეტი ბრინჯაოში, უფრო მოგვიანებით კი მეცნიერის ბიუსტი თსუ-ის პანთეონში განსათავსებლად შექმნა. მოქანდაკეს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ხსოვნისადმი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, რადგან მეცნიერის ნაშრომების კარგად ცოდნის გარდა, იგი პირადად იცნობდა დიმიტრი უზნაძის მოსწავლეებსაც, რომლებისგანაც დიდ მეცნიერზე ბევრი სმენია.

ნატო ოგოლაძე

„სამხატვრო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა მისი პორტრეტი ბრინჯაოში შემიკვეთა. ეს იყო, დაახლოებით, 1950 წელი. ჩემი ნამუშევარი ძალიან მოეწონათ. მაშინ ამ ინსტიტუტის დირექტორი ვასო ფრანგიშვილი გახლდათ და როდესაც მას შევხვდი, ამიხსნა, თუ რატომ დამევალა მე, ჯერ კიდევ სტუდენტს, ასეთი დიდი მეცნიერის პორტრეტის გაკეთება. როგორც გაირკვა, პროფესიონალი მოქანდაკისათვის ნამუშევარში გაცილებით მეტი უნდა გადაეხადათ, მე კი 400 მანეთი მომცეს და ეს გახლდათ ძირითადი მიზეზი. თუმცა ბატონმა ვასო ფრანგიშვილმა იქვე აღნიშნა, რომ ჩემი ნამუშევარი, მართლაც, საუკეთესო იყო. მაშინ ბატონ ვასოსთან საუბარი ხანგრძლივი გამოდგა, მელაპარაკებოდა ხელოვნებაზე და მითხრა ისეთი რამ, რაც შემდეგ ჩემი ცხოვრების დევიზად იქცა. ეს არის ფრიდრიხ ნიცშეს გამონათქვამი, რომ არ გადავუხვიოთ საკუთარ რწმენას და ვიდგეთ რწმენის სადარაჯოზე. ამ დროისთვის მე ნიცშე უკვე წაკითხული მქონდა და გამიკვირდა, რომ გაქანაბული კომუნიზმის დროს ბატონი ვასო ფრანგიშვილი ასე თამამად დამელაპარაკა ამ თემაზე. იგი გახლდათ დიმიტრი უზნაძის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე", — ასე იხსენებს მოქანდაკე გიორგი ოჩიაური სტუდენტობისდროინდელი წარმატების პირველ ნაბიჯებს.

მოქანდაკე გიორგი ოჩიაური

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონისთვის დიმიტრი უზნაძის ბიუსტი მოქანდაკემ მოგვიანებით, დაახლოებით, 1960-70-იან წლებში გააკეთა. შემდეგ მას მეცნიერებათა აკადემიამაც შეუკვეთა საფლავისთვის მედალიონის დამზადება. ,,მახსოვს, როდესაც ჩემი ნამუშევარი მეცნიერთა საბჭოს წევრებს: აკაკი შანიძეს, გიორგი ჩუბინიშვილს ვაჩვენე, ძალიან მოეწონათ, თუმცა დიდი ქართველი გეოლოგის — ალექსანდრე ჯანელიძის რეაქცია სხვაგვარი იყო. მან თქვა, რომ ამ მედალიონზე არსებულ გამოსახულებასა და დიმიტრი უზნაძეს შორის არავითარი საერთო არ გახლდათ", — აღნიშნავს გიორგი ოჩიაური ჩვენთან საუბარში და დასძენს, რომ ამ კრიტიკას მისთვის ხელი არ შეუშლია, კვლავაც ენთუზიაზმით გაეგრძელებინა თავისი საქმე.

რადგან ჩვენი ყურადღება გიორგი ოჩიაურის იმ ნამუშევართა შეფასებაზე შევაჩერეთ, რაც დიმიტრი უზნაძის სახელთანაა დაკავშირებული, ამიტომ მხოლოდ ამ თემაზე საუბრით შემოვიფარგლეთ და მას მეცნიერისადმი დამოკიდებულებაზეც და განწყობაზეც ჩავეკითხეთ.

„დიმიტრი უზნაძის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ჩამოყალიბდა. მე თავიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ჩემი ლექტორები იყვნენ ერეკლე ტატიშვილი და არნოლდ ჩიქობავა. საკმაოდ განათლებული ახალგაზრდა გახლდით და ჩემთვის უზნაძის პიროვნება სამაგალითო იყო. ჩემი სტუდენტობის დროს არსებობდა მასწავლებელთა სახლი, სადაც მეცნიერები ხშირად იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობდნენ. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აქტიურად ებრძოდა უზნაძის მიერ შემუშავებულ თეორიებს და ემხრობოდნენ პავლოვის სწავლებას. მახსოვს, ერთხელ ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ლექციები ფსიქოლოგიის შესახებ. დიმიტრი უზნაძის მოწაფეები მედგრად იდგნენ, აუდიტორიას განუმარტავდნენ, თუ რა იყო ფსიქოლოგია და რა წვლილი შეიტანა მის განვითარებაში ამ დიდმა მეცნიერმა. სულ არაფერი რომ არ მცოდნოდა მის შესახებ, ამ ლექციების შემდეგ მაინც გავიგებდი, თუ რას წარმოადგენდა დიმიტრი უზნაძე. მის ბიუსტზე მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იყო, თუმცა ბრინჯაოში პორტრეტის გაკეთებისას ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი და ეს ბოლომდე გათავისებული არ მქონდა," — ამბობს გიორგი ოჩიაური, რომელიც ამაყობს იმით, რომ უნივერსიტეტის პანთეონში დიმიტრი უზნაძის საფლავს მისი ხელით გაკეთებული ბიუსტი ამშვენებს.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია,	ილია ჭავჭავაძის
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი,	გამზ. 11ª
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი	ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი,	(თსუ-ის მე-3
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი	ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი,	კორპუსი)
		ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური,	
		ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	2 22 36 62